ჰენრი გრემ გრინი

საერთო ოთახი

მთარგმნელი მაგდა გელაშვილი

მოქმედება პირველი

სცენა პირველი. საერთო ოთახი. იანვრის ერთი შუადღე.

როცა ფარდა იწევა, ერთი თვალის შევლებით ვხვდებით, რომ საერთო ოთახში რაღაც უცნაური ხდება. სახლი ჩვეულებრივი, ჰოლანდ პარკისთვის დამახასიათებელი ნაგებობაა. ისეთი ნამდვილად არაფერი შეინიშნება რაზეც ხელს გავიშვერთ და ვიტყვით: „ეს არასწორია“ ან „ეს უცნაურია“.უკან, მაღალი ფანჯრიდან, რომელიც საეჭვოდ დაუხურავთ სანახევროდ, მხოლოდ ხის კენწეროებს ვხედავთ. იქნებ ამ შეგრძნებას ის უცნაური სტილის მქონე ავეჯი იწვევს, თითქოს უფრო დიდი ოთახისთვის რომ შეურჩევიათ და აქაურობას საერთოდ არ უხდება? მაგრამ ამის ახსნაც შეიძლება. ოთახს ორი კარი აქვს. ერთი კიბის ბაქანზე რომ გადის- ღიაა, მეორე კი რამდენიმე საფეხურიანი კიბის თავზე- დაკეტილია. ფარდის აწევისთანავე ქვედა სართულზე ზარი რეკავს.

მერი სწრაფად შემოდის. დღეს უნიფორმა არ აცვია და ალბათ ვერც კი წარმოიდგენთ, რომ ეს მსხვილი, ფორმადაკარგული ფეხები სახლში მომსვლელ მოსამსახურეზე ნაკლებთავისუფალ ვინმეს ეკუთვნის. ის კიბეზე ადის, კარის სახელურს ატრიალებს, მაგრამ დაკეტილი ხვდება.

მერი *(ჩუმად ამბობს)* : მის ტერეზა...(*ცოტახნით კარს აყურადებს, მერე როგორც კი ქვედა სართულზე ზარი დარეკავს, კიბეზე მისი ფეხების ბრახაბრუხი გვესმის. თითქმის იმავე წამს, დახურულ კარს მიღმა, წყლის გადაქცევის ხმა ისმის. ეს ცოტა ხნით კვლავ ოთახის უცნაურობასა და შეუხამებლობაზე გვაფიქრებს, რადგან არავინ მოელის საერთო ოთახთან ასე ახლოს მდებარე საპირფარეშოს. ალბათ ახლა ვხვდებით, რომ იქნება და სულაც საძინებელია ? ზემოთ მერისა და მამაკაცის ხმები აღწევს)* მის ბრაუნს აქ თქვენი საღ-სალამათი ხილვა ძალზედ გაახარებს, მის როუზ.

კაცის ხმა: იმედი მაქვს, ჩემი შეტყობინება დროულად მიიღეს. უჰ! რამდენი საფეხურია!

მერი: წელიწადის ამ დროისთვის უჩვეულოდ თბილა,სერ.

კაცის ხმა: ხოო? მატარებელში ციოდა, გათბობა გამორთული იყო.

მერის ოთახში შემოჰყავს მაიკლ დენისი, ორმოც წელს გადაცილებული კაცი, დაძაბული, საკმაოდ მოქუფრული სახით, აღელვებული ბევრი რამით და ზედმეტად შეწუხებული, თითქოს ამ გამომეტყველების შენიღბვას ცდილობს; და როუზ ჰემბერტონი, დაახლოებით ოცი წლის გოგონა, გამოუძინებელი თვალებით, შეცბუნებული, თმაწეწილი სახით, სახე, რომლის სილამაზე ახალგაზრდობის დამსახურებაა. აწი აღარასდროს იქნება ისეთი სილამაზე, როგორც ამ წელს, ან თუნდაც ამ თვეში იყო.

მერი: სერ, მის ბრაუნი ახლავე ჩამოვა. (*გადის.*)

მაიკლი: ჩამოვა? ალბათ სხვენში ცხოვრობს. (*მაიკლი და როუზი ერთმანეთისგან მოშორებით გაუნძრევლად დგანან და ოთახს ათვალიერებენ.)* საერთო ოთახი მესამე სართულზე რატომ აქვთ? ვითომ სტუმრების დასაბნევად? (*აქეთ-იქით მოუსვენრად დააბიჯებს, მაგრამ იმავე ადგილს უბრუნდება, სადაც იდგა, სამი ნაბიჯის დაშორებით გოგონასგან.)* რა უცნაური ოთახია! არასწორი ფორმისაა. ხვდები, რას ვგულისხმობ? ერთმანეთს არაფერი არ უხდება. ნეტავ ეს საით მიდის? (*და ხელით საპირფარეშოს კარზე მიუთითებს, მისკენ მიემართება და სახელურს სინჯავს. მერე ხალიჩაზე თავის ადგილს უბრუნდება.)* ბრაუნების ოჯახის ესკიზი? ბრაუნი „ი“-თი ბოლოში. არაფერს იტყვი? თუნდაც ხუმრობას? იმის საჩვენებლად, მაინც რომ მშვენივრად ვართ? (*როუზი უარყოფის ნიშნად თავს აქნევს.*) აბა, აქამდე უსაფრთხოდ მოგიყვანე, როგორც ოჯახის საიმედო მეგობარს შემეფერებოდა. მხოლოდ თორმეტი საათით დავიგვიანეთ და მგონი ნამდვილად დამაჯერებელი ტელეგრამა გამოვგზავნეთ. ობოლი უსაფრთხოდაა. მაგრამ შენი ოჯახის წევრებს სანერვიულო არც არაფერი ჰქონდათ. შენ ხომ ჩემს ხელში იყავი. (*როუზი ხელს იწვდის და მაიკლს ეხება. კაცი მას ხელს მაგრად სჭიდებს, მაგრამ ერთმანეთისგან მაინც მოშორებით დგანან.)* ფრთხილად იყავი! მე ყოველთვის ასე ვიქცევი. უკვე იმ ასაკს მივაღწიე, როცა ადამიანი ყველაფერში მეტ წინდახედულობას იჩენს. განა ჩემმა გეგმამ იდეალურად არ იმუშავა? ორი ოთახი დერეფნის თავსა და ბოლოში. მაღვიძარამაც ადრიანად დარეკა. ფეხსაცმელები კი ყოველთვის საჭირო ადგილზე ეწყო.

როუზი: (*ვედრებით*) განა საჭიროა ასე მოქცევა? რთული არაა შენთვის, საყვარელო?

მაიკლი: კვლავ ფრთხილად იყავი. „საყვარელო“ ის სიტყვაა, ჩვენ რომ არ უნდა გამოვიყენოთ. ალბათ „ძვირფასო“ უფრო შეეფერება ჩემი ასაკის დაქორწინებულ

კაცს. მაგრამ, დაიმახსოვრე, როცა მე ვამბობ „ძვირფასო“ ამაში მთელ ჩემს გულს ვაქსოვ. ძვირფასო.

როუზი : კიბეზე თუ ვინმე ამოვა, უსათუოდ გავიგებთ. (*ის მაიკლს კოცნის და ამ მომენტში საპირფარეშოს კარში გასაღების გადატრიალების ხმა ისმის. როცა ოთახიდან მის ტერეზა გამოდის, წყვილი თავის უწინდელ ადგილს სასწრაფოდ უბრუნდება. ბრაუნი გამოდის- მოხუცი ქალი, რომელმაც სამოცდაათ წელს კარგა ხანია გადააბიჯა. ზურგსუკან კარს ხურავს.)* დეიდა ჰელენ...

ტერეზა ბრაუნი ოდნავ ყურადღებასაც კი არ აქცევს იქ მყოფთ. გვერდით ისე ჩაუარა თითქოს იქ საერთოდაც არ ყოფილიყვნენ და ღია კარიდან კიბის ბანქანზე გადის.

მაიკლი : ასე რატომ ჩაგვიარა? რატომ არ დაგველაპარაკა? როგორ ფიქრობ, დაგვინახა?

როუზი : არა. მაგრამ რამეს გაიგონებდა.

მაიკლი : მოსასმენი ბევრი არც არაფერი იყო.

ტერეზა კვლავ შემოდის. ხელებს ჩასახუტებლად იშვერს და უემოციო გულთბილობით იღიმის.

ტერეზა : ჩემო ძვირფასო, შენ ალბათ როუზი ხარ. მერის არ უთქვამს, რომ მოხვედი.

როუზი (*კოცნის) :* და თქვენ ალბათ დეიდა ჰელენი ხართ, თუ ბებია უნდა დაგიძახოთ?

ტერეზა : ძვირაფსო, მე დეიდა ტერეზა ვარ.

როუზი : ოჰ, რა სულელი ვარ!

ტერეზა : ნამდვილად არ ხარ სულელი, ბოლოს რომ გნახე, სულ რაღაც ექვსი წლის იყავი, თუ მეშელბა?

როუზი : მხოლოდ ექვსის. დეიდა ტერეზა, ეს მისტერ დენისია.

ტერეზა : თქვენი გაცნობა ყოველთვის მინდოდა, მისტერ დენის. ჩემი საბრალო დიშვილი თავის წერილებში ხშირად გახსენებდათ.

როუზი (*მაიკლს) :* დედაჩემს გულისხმობს.

მაიკლი : რა თქმა უნდა. მის ბრაუნ, ვიმედოვნებ, თქვენი ნდობა ბოროტად არ გამოვიყენე.

ტერეზა : არ ვიცი, რას გულისხმობთბ, ბატონო დენის. ნდობა?

მაიკლი : თორმეტი საათით დავიგვიანეთ. დაკრძალვის შემდეგ დაუყოვნებლივ გამომგზავრებას, დილის მატარებელს გამოყოლა ვამჯობინეთ.

ტერეზა : ძვირფასო, ძალიან ვწუხვარ, შენ გვერდით რომ არ ვიყავი. მაგრამ ბიძაშენის და დეიდა ჰელენის დატოვება არ შემეძლო. მისტერ დენის, სოფელში ოთახი ადვილად იპოვეთ, ხომ?

მაიკლი : ოჰ, დიახ. „წითელ ლომში“.

ტერეზა : ამ დილით, დედაშენის სულის მოსახსენიებლად, მამა ტერნერმა მესა ჩაატარა.

როუზი : ოჰ, როგორ ვწუხვარ, არ ვიცოდი. აქ უნდა ვყოფილიყავი.

ტერეზა : ჩვენ ყველანი იქ ვიყავით, ჩემი ძმაც კი. დედაშენთან ერთად გაგიხსენეთ. მისტერ დენის, კათოლიკე ბრძანდებით?

მაიკლი (*სწრაფად)* არა.

ტერეზა : რა უცნაურია, ჩემმა დიშვილმა თავისი ანდერძი თქვენ რომ დაგიტოვათ აღსასრულებლად.

როუზი (*უკმეხად) :* რატომაც არა? მამაჩემიც არ ყოფილა კათოლიკე.

ტერეზა : რა თქმა უნდა, ძვირფასო. საბრალო კაცი. მისტერ დენის, ჩაის ინებებთ?

მაიკლი : არ შეწუხდეთ. მხოლოდ იმიტომ მოვედი, რომ როუზი პირადად თქვენთვის ჩამებარებინა.

ტერეზა : გაწეული სამსახურისთვის შესაბამისად უნდა გაგიმასპინძლდეთ. ერთი წუთით მაპატიეთ , მისტერ დენის. (*კართან მიდის და მერის ეძახის.)* მერი! (*მაგრამ პასუხს არავინ სცემს. კიბის ბაქანთან მიდის და კვლავ იძახის.)* მერი. (*ისევ კიბის ბაქნიდან.)* მისტერ დენის, რომელი საათია?

მაიკლი : ხუთს ახლახანს გადაშორდა.

ტერეზა : მერი ყოველთვის თავის დროზე ტოვებს სამსახურს, მაგრამ ახლა ექვსის თხუთმეტ წუთამდე დასარჩენად გადავუხადეთ.

მაიკლი : მართლა უნდა წავიდე.

ტერეზა : ჩემს ძმას უყვარს ჩაის დალევა. მერი! (*პირველ სართულზე ჩადის.)*

მაიკლი : აბა, მგონი, პირველი ნაბიჯი საკმაოდ წარმატებულად გადავდგით. უხერხულობა ჯერ არ შეგვქმნია ჩვენი დაგვიანების გამო.

როუზი : საყვარელო, რაზე წუხხარ? ჩემზე? ამის მიზეზი არ გაქვს. გეფიცები. *(დარდიანად ამბობს.)* დედაჩემის დაკრძალვის ღამეს შენი გავხდი. ასე შემოგფიცე ჩემი სიყვარული, სისხლით დაფიცების მსგავსად, უკუნითი უკუნისამდე , ამინ.

მაიკლი : ვფიქრობ, ამ მოხუც ხალხში დაიკარგები. მეშინია, არ დაგკარგო, წამები წუთებს მისდევს. რა იქნება ხვალ?

მაიკლი ოთახში აქეთ-იქით იწყებს სიარულს, როუზი კი ერთ ადგილას დაბნეული ,გაუნძრევლად დგას.

როუზი : ნერვიულობის მიზეზი არ გაქვს, არ დამკარგავ.. ბოლოს და ბოლოს დედაჩემის ანდერძის აღმასრულებელი ხარ.

მაიკლი : ხო , ამიტომ სულ თუ არაფერი საქმის გამო მაინც გნახავ ხოლმე. (*კიბეზე ადის)* ის აქედან გამოვიდა. (*საპირფარეშოს კარს აღებს)* მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს. მესამე სართული. საერთო ოთახთან ასე ახლოს მდებარე სააბაზანო. ეს საძინებელი უნდა იყოს.

მის ჰელენ ბრაუნი შემოდის.

ჰელენი : როუზი შენ ხარ? (*ერთმანეთს კოცნიან.)* ჩემო საყვარელო პატარავ, ასე გეძახდი ხოლმე. და თქვენ მისტერ დენისი ბრძანდებით? (*ერთმანეთს ხელს ართმევენ.)* ოჰ, ვერც კი წარმოიდგენთ ხანდახან როგორი ცუდი ბავშვი იყო. (*ჰელენი მის დაზე ცოტა უფრო ახალგაზრდულად გამოიყურება-მსუქანი ქალია, გულკეთილი გამომეტყველებით. ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ადამიანთა ცხოვრებაში ისე შეუძლია ჩარევა, რომ ამაზე მათ წარმოდგენაც არ ჰქონდეთ.)* ტერეზამ მითხრა, რომ მოხვედით. თვითონ ჩაის აკეთებს. მოსამსახურემ ადრე დაგვტოვა, როგორც ჩანს სამზარეულოს საათი წინაა. როუზ, ძვირფასო, ხომ არ მიეხმარებოდი დეიდაშენს ჩაის მომზადებაში?

როუზი : ვშიშობ, არ ვიცი, როგორ უნდა...

ჰელენი : პირდაპირ ჩადი კიბეებზე, სამზარეულო პირველ სართულზეა. მის ფუსფუსს გაიგონებ. *(მაიკლს მიმართავს)* ჩემს საწყალ დას მხედველობა ღალატობს. ეს მოსალოდნელიცაა, სადაცაა ოთხმოცი წლის გახდება.

როუზი (*მაიკლს) :* კიდევ გნახავთ?

ჰელენი :მისტერ დენის, ჩაიზე ხომ დარჩებით? (*როუზი ოთახიდან უხალისოდ გადის.)* ძალიან ვწუხვარ, დაკრძალვაზე რომ ვერ ჩამოვედი, მაგრამ ალბათ გამიგებთ, ჩემს და-ძმას ვერ დავტოვებდი. გთხოვთ, დაბრძანდით.

მაიკლი : დარჩენას არ ვაპირებდი.

ჰელენი : ბეატრიქს პოტერი მოგწონთ? აჰ, თუმცა ის ჩემი თაობის წარმომადგენელია. ერთხელ დებენჰემში დავინახე საყიდლებზე იყო. რატომღაც მეგონა , რომ უფრო ასაკოვანი იქნებოდით.

მაიკლი : ორმოცდახუთი წლის ვარ. *(უხალისოდ ჯდება.)*

ჰელენი : კათოლიკეები თავიანთი მრწამსის ერთგულები ზედმეტად არიან, არა? ჩემი და ძალიან გაკვირვებული იყო, როცა ჩვენმა დიშვილმა მეურვედ არაკათოლიკე აირჩია.

მაიკლი : მე მისი ქმრის მეგობარი და , ამავდროულად, მოსწავლეც ვიყავი. მასთან ვალში ვარ. ლონდონის უნივერსიტეტში ჩემი სამსახურიც თქვენი დიშვილის მეუღლის წყალობით მაქვს.

ჰელენი : ალბათ ჩვენზე ფიქრობთ, რომ ფანატიკოსები ვართ, მაგრამ საცოდავი ჯონის პროფესია არასდროს გვადარდებდა. ჩემი დიშვილისთვის უხერხული იქნებოდა მისი ქმრის საქმიანობა ხმამაღლა რომ გაგვეკიცხა.

მაიკლი : ვშიშობ, ჩემი პროფესიაც ვერ დაიმსახურებს თქვენს მოწონებას, მე ფსიქოლოგიის ლექტორი ვარ და არა პროფესორი.

ჰელენი : თქვენს შემთხვევაში ამას მნიშვნელობა არ აქვს, თუ აქვს, მისტერ დენის? ჩვენ თქვენი საქმიანობა არანაირად არ გვეხება. და ანდერძი? დეტალები ჯერ არ ვიცით. (*მორცხვად)* ძალიან მაინტერესებს.

მაიკლი : როუზი ყოველწლიურად რვაას ფუნტს მიიღებს, მას შემდეგ, რაც ოცდახუთი წლის გახდება. მანამდე კი მე და თქვენი ძმა ვიქნებით მისი მეურვეები.

ჰელენი : სჯობდა ოჯახში შენახულიყო თქვენ შეწუხებას. (*მორცხვად)* ახლა მგონი მეც საკუთარი ოჯახის ერთგული ვჩანვარ.

მაიკლი : როგორც ხვდებით, ჯონმა მეურვედ ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში ამირჩია და მისის პემბერტონი უბრალოდ პატივს სცემდა თავისი ქმრის გადაწყვეტილებას. ჯონის მეგობრები ყოველთვის თავისად მიაჩნდა. მისი სიკვდილის შემდეგ კი მათ ყოველ ზაფხულს ვსტუმრობდი.

ჰელენი *(ნაღვლიანად) :* ჩემი დიშვილი პირველი ბრაუნი იყო, რომელიც არაკათოლიკეს გაჰყვა ცოლად.

მაიკლი *(ღიმილით) :* პირველი ბრაუნი?

ჰელენი : პირველი ჩვენი საგვარეულოდან. და თქვენ ანდერძის აღმსრულებელიც ხართ, ხომ?

მაიკლი : რადგან მეურვე ვიყავი, ადვოკატებმა იფიქრეს, რომ ეს საქმეს უფრო გაადვილებდა. როგორც კი ანდერძი აღსრულდება, მე მეურვეობაზე უარს ვიტყვი და თქვენ ჩემგან სამუდამოდ გათავისუფლდებით.

ჰელენი : ოჰ, მაგრამ მე ეს არ მიგულისხმია...

მაიკლი : მის ბრაუნი, სულაც არ ვფიქრობ, რომ მეურვეობისთვის შესაფერისი ვარ.

ჰელენი *(ისე, ვითომ გაიგო მაიკლი რასაც გულისხმობდა)* : სანამ თქვენს ტელეგრამას მივიღებდით, როუზიზე ძალიან ვღელავდით.

მაიკლი : დაკრძალვაზე ძალიან დაიღალა. ღამით გამომგზავრება მისთვის უფრო რთული იქნებოდა, ვიფიქრე, მეორე დღის მატარებელით...

ჰელენი : საბრალო როუზი, ალბათ იმ სახლში თავს რა მარტოსულად გრძნობდა.

მაიკლი : გამომგზავრება უმჯობესი იქნებოდა. (*ახსნას კვლავ აგრძელებს)* ჩემთვის ოთახი „წითელ ლომში“ დავიქირავე.

ჰელენი : სწორად მოქცეულხართ, მისტერ დენის. ისეთ სოფელში,როგორიც ისაა, ხალხს საჭორაო მიზეზი მიეცემოდა ერთ სახლში რომ დარჩენილიყავით.

მაიკლი : ჩემი ასაკის კაცზე და როუზის ასაკის გოგონაზეც იჭორავებდნენ?

ჰელენი *(მხიარულად და მკაცრად)* : ადამიანის ბუნება საშინელი რამაა, მისტერ დენის. ზედმეტად კათოლიკურად ხომ არ ჟღერს?

მაიკლი : ასე არ მომჩვენებია.

ჰელენი : ჩემმა დიშვილმა თავის ერთ-ერთ წერილში მომწერა, რომ თქვენ ძალიან ეხმარებოდით. ამისთვის უსაზღვროდ მადლიერები ვართ. ჩვენზე მეტი გააკეთეთ მათთვის. *(ჰელენი ამჩნევს, რომ მაიკლი ცოტა დაბნეულია. ოთახი მას კვლავ საგონებელში აგდებს. აქეთ-იქით თვალებს აცეცებს, კედელზე ლაქებს ამტერდება.)* მაგრამ ახლა ჩვენ დავეხმარებით როუზს ყველაფრის დავიწყებაში.

მაიკლი : უკაცრავად, მაგრამ ყველაფრის დავიწყებაში რა იგულისხმეთ?

ჰელენი : მისი ძვირფასი დედა.

მაიკლი : დავიწყება ყოველთვის კარგი გამოსავალია? ჩემი მოვალეობაა ხალხს ვასწავლო და შევახსენო მოგონებების მნიშვნელობა.

ჰელენი : ასე რას უყურებთ, მისტერ დენის?

მაიკლი : რამეს მივჩერებოდი?

ჰელენი : საკმაოდ უწესრიგო, მაგრამ ვშიშობ, ჩვენი ერთადერთი საერთო ოთახია.

მაიკლი : გარედან საკმაოდ დიდი სახლი ჩანს.

ჰელენი : ოთახების უმეტესობა დაკეტილია.

მაიკლი : ომის გამო დაზიანდა?

ჰელენი *(წინდახედულად)* მრავალი მიზეზის გამო. *(მაიკლი კვლავ ოთახს ათვალიერებს.)* ყველა ოთახს თავიდან შეკეთება სჭირდება, მაგრამ ფულის დახარჯვა არავის არ უნდა.

შემოდის ტერეზა, თან ნამცხვრის ორსართულიანი სადგამით კარაქი და პური შემოაქვს, იქვე ქლიავის ნაცხვარიც აქვს.

ტერეზა : ჩაიდანი დუღს, ჰელენ. მისტერ დენის, ყველაფერი მზადაა.

ამ ოჯახში, როგორც ჩანს, ის მოუსვენარი მარტაა, სუსტი პერსონაჟი , რომელიც სხვის ბრძანებებს ასრულებს. და ეს ბრძანებები, მისი გულკეთილობის ნიღაბს ამოფარებული დისგან მოდის.

მაიკლი : ძალიან სასიამოვნოა თქვენი მხრიდან, მაგრამ დარჩენას არ ვაპირებ.

ტერეზა : ოჰ, მაგრამ თქვენ აუცილებლად უნდა გაიცნოთ ჩვენი ძმა.

ჰელენი : ტერეზა, მისტერ დენის ძალას ნუ დავატანთ, ალბათ უამრავი საქმე აქვს...

მაიკლი : სანამ წავალ, თქვენს დიშვილს რაღაც უნდა ვუთხრა.

ტერეზა : ჩემს დიშვილს? მაგრამ ის, ის ხომ მკვდარია?

ჰელენი *(სწრაფად)* : როუზს გულისხმობს.

მაიკლი : ანდერძთან დაკავშირებით კიდევ ბევრი საქმეა გასაკეთებელი. როგორც იცით, ანდერძის სხვა აღმსრულებელი საზღვარგარეთაა.

ტერეზა : რა ფრთხილი ადამიანი ხართ, მისტერ დენის!

მაიკლი : ასე ფიქრობთ??

ტერეზა : სწორედ ასე ეუბნებოდით როუზს, ასე არაა? თქვენ თქვით: „ჩემი იმედი შეგიძლია ყოველთვის გქონდეს“, „ფრთხილად უნდა ვიყოთ“. ძალიან სასიამოვნოდ ჟღერდა.

მაიკლი *(ნათქვამს განმარტავს)* : ანდერძის აღმსრულებელი ყოველთვის ფრთხილი უნდა იყოს, თორემ ციხეში ამოჰყოფს თავს.

ჰელენი *(ხვდება მაიკლის ინტერესის სფეროს)* : ჩემი ძმა აუცილებლად უნდა გაიცნოთ და ამ სამართლბრივ საკითხებზე მას დაელაპარაკოთ. როუზი ზედმეტად ახალგაზრდაა მსგავსი თემები რომ ესმოდეს. ჩემო საყვარელი პატარა! ტერეზა, როუზი თუ დაღლილია, უთხარი დაწვეს და დაისვენოს, მისტერ დენისს ჩვენ გავართობთ.

ამ სიტყვის თქმის დროს როუზი ბრუნდება, თან ჩაი შემოაქვს.

როუზი : საერთოდ არ ვარ დაღლილი.

ჰელენი : მაშინ ყველანი დასხედით, პალტო გაიხადეთ, მისტერ დენის, ჯეიმსს შინ შემოვიყვან.*(იგი წლებია ეტლსაა მიჯაჭვული.)* ჩაი დაასხი, ძვირფასო.*(გადის.)*

ტერეზა : *(ჩაის ასხამს)* : აბა, თქვენ თქვენ ადგილებზე დასხედით. არა, მანდ არა, როუზ. ეს დეიდა ჰელენის ადგილია. *(როუზი და მაიკლი გვერდიგვერდ სხდებიან. ერთმანეთს არ უყურებენ. ტერეზას საქმიანობას ისე გულისყურით ადევნებენ თვალს , თითქოს ეს ერთადერთი ადგილია, სადაც მათი მზერა წარმოსახვითად გადაიკვეთება.)* ძვირფასო, რა თქვი მესას სად დავესწარიო?

როუზი : მაგრამ არსად არ დავსწრებივარ.

ტერეზა : აუცილებლად უნდა დასწრებოდი, თუმცა ამას მნიშვნელობა არ აქვს, შენ აქეთ მოემგზავრებოდი.

როუზი : დამავიწყდა. დილის მატარებლამდე უნდა წავსულიყავი მესაზე, მაგრამ ღრმად მეძინა.

ტერეზა : ერთი ნატეხი შაქარი გნებავთ, მისტერ დენის?

მაიკლი : დიახ, გმადლობთ.

ტერეზა : და შენ, როუზ?

როუზი : მეც.

ტერეზა *(თან ლაპარაკობს და ჩაის ასხამს) :* შენთვის მას შემდეგ ვლოცულობ, რაც დედაშენის სიკვდილის შესახებ გავიგეთ.

როუზი : მადლობა, დეიდა ტერეზა.

ტერეზა : იმედი მაქვს, ხვალ მესაზე დასწრების სურვილი გაქვს. დედაშენის სულისთვის უკვე მეორედ ვატარებთ. მერი ცხრის ნახევრამდე არ მოდის, მაგრამ ჩვენ გაგაღვიძებთ.

როუზი : მადლობა.

ტერეზა : მიირთვით რამე, მისტერ დენის. *(როუზი და მაიკლი თეფშის ასაღებად იხრებიან და მათი ხელები ერთმანეთს ეხება.)* ჰელენმა შენს ოთახზე უკვე გითხრა?

როუზი : არა, მაგრამ საჩქარო არაა.

ტერეზა : როგორც ხედავ, ძალიან ვიწროდ ვცხოვრობთ. ბევრი ოთახი დაკეტილია. ჩვენ ვიფიქრეთ, რომ აქ დაძინების საწინააღმდეგო არაფერი გექნებოდა. დივანი ძალიან კომფორტულია.

როუზი: რა თქმა უნდა, ჩემთვის სულერთია.

მაიკლი: მის ბრაუნი, თქვენს დას იმას ვეუბნებოდი, რომ ეს სახლი გარედან ძალიან დიდი ჩანდა.

ტერეზა: ერთ დროს ასეც იყო. მაგრამ ბევრი ოთახის დაკეტვა მოგვიხდა.

მაიკლი: ომის შედეგად დაზიანდა?

ტერეზა: სულაც არა.

ჰელენი *(გარედან) :* აი, ჩვენც მოვედით! იქნებ ვინმემ კარი გაგვიღოს? *(ჰელენს ეტლში მჯდომი მამაკაცი ოთახში შემოჰყავს. ეს მისი ძმაა, ჯეიმს ბრაუნი, სამოცდახუთ წელს მიტანებული, ისეთი სახე აქვს თითქოს მისი ნაკლოვანება მისი სიძლიერეა, წელს ზემოთ თავმოყრილი. ფეხებზე შალის გადასაფარებელი*

ახურავს, კისერზე კი შარფი შემოუხვევია.) ჩვენთან როუზი და მისტერ დენისი არიან, მაიკლი ანდერძის აღმასრულებელია.

ჯეიმსი: ჩემო ძვირფასო როუზ, ამდენი წლის შემდეგ,როგორ მიხარია შენი კვლავ ნახვა. ძალიან შეცვლილხარ და გაზრდილხარ.

როუზი იხრება და ბიძამისს კოცნის.

როუზი: ბიძია, როგორ ხარ?

ჯეიმსი: საკმაოდ კარგად. მადლობა ღმერთს, ჩემი სავარძლით მატარებლობანას აღარ ითამაშებ! მისტერ დენის, იმედი მაქვს, რომ როუზი თქვენთვის ტვირთი არ იყო. გასულ ღამეს გელოდებოდით.

მაიკლი: დილის მატარებლით გამომგზავრება უფრო გონივრულად მივიჩნიეთ ,მისტერ ბრაუნ.

ჰელენი: მამა ბრაუნი. მისტერ დენის, ჩემი ძმა...

მაიკლი: ოჰ, რა თქმა უნდა , მაპატიეთ.

ჯეიმსი: როუზ, ახლა ოჯახის ყველა წევრს შეხვდი, ალბათ ხედავ, ცოტა მოხუცები ვართ, როგორ ფიქრობ, შეძლებ ჩვენს ატანას? მაგრამ არც ისე ცუდები ვართ.

როუზი: დედაჩემი სწორად მოიქცა, რომ ჩემი თავი თქვენ ჩაგაბარათ, არ ვიცი, სხვაგვარად რა მეშველებოდა.

ჯეიმსი: ერთადერთი კათოლიკე პემბერტონი ხარ. მაგრამ პემბერტონად არც არასდროს გთვლიდი.

ტერეზა *(ჯეიმსს ჭიქას აწვდის)* **:** შენი ჩაი, ინებე.

როუზი: ბიძია, კარაქს და პურს ხომ არ ინებებ?

ჯეიმსი: არა, გმადლობთ, მხოლოდ ჩაი. ჭამა დიდად არ მიყვარს.

ტერეზა: როუზ, ნეტა იცოდე გუშინ ღამეს რა სასაცილო რაღაც მოხდა! ვიღაც ქალმა დარეკა და იკითხა ის ბრაუნები თუ ვიყავით, დიშვილს რომ ელოდებოდნენ სტუმრად.

როუზი: და ვინ იყო?

ტერეზა: წარმოდგენა არ მაქვს. როცა ვუთხარი, რომ დღეს ჩამოხვიდოდი, ყურმილი დაკიდა.

ჰელენი: ტერეზა, ამის შესახებ მე რატომ არაფერი მითხარი?

ტერეზა: ახლახანს გამახსენდა. *(როუზს)* ვიფიქრე, მეგობარი იყო და შენი ამბავი აინტერესებდა.

როუზი: ლონდონში არავინ მახსენდება. *(მაიკლს შიშნარევი თვალებით უყურებს.)*

ტერეზა: თუ რამე მნიშვნელოვანია ალბათ ისევ დარეკავს. უფრო საინტერესო რამეზე ვისაუბროთ. ჯეიმს, დღეს მერიმ თხუთმეტი წუთით ადრე დაგვტოვა.

ჰელენი: მისი ბრალი არ იყო. სამზარეულოს საათი ოცი წუთით წინაა.

სანამ მოხუცები საუბრობენ, მაიკლი და როუზი ერთმანეთის გვერდით უსიტყვოდ, უხერხულად სხედან.

ტერეზა: რადგან სულ ასეა, ზუსტი დრო უნდა იცოდეს. დაელაპარაკები, ჯეიმს? შენგან უფრო სწორად გაიგებს. ოჰ...*(უცებ ფინჯანს დებს და კარისკენ მიდის.)*

ჰელენი: რა ხდება, საით გაგიწევია?

ტერეზა: მერი ადრე თუ წავიდა, არ ვიცი, ღვეზელის გამოცხობას ვერ მოასწრებდა, მგონი, ღუმელში დატოვა.

ჰელენი: ცოტახანი მოიცდის, სუფთა პატარა მარტა ხარ!

ტერეზა: ხოდა დღეს ღვეზელზე წუწუნი პირველმა არ დაიწყო.

ჰელენი: მაშინ მე წავალ და მოვამზადებ და თუ არ გამომივა, მხოლოდ ჩემს თავს დავაბრალებ.

ტერეზა: დღეს საჭმელების მომზადება ჩემი მოვალეობაა, ასე არაა ჯეიმს?

ჯეიმსი: ხო, დღეს ხუთშაბათია და შენი ჯერია.

ჰელენი: დაგეხმარები, არ მინდა მძიმე ასწიო რამე.

კამათის განმავლობაში მაიკლი და როუზი სხვებისგან ოდნავ მოშორებით არიან. ტერეზა ოთახს ტოვებს. ჰელენი ის-ისაა აპირებს თავის დას გაჰყვეს, რომ ხედავს როგორ ეხება მაიკლის ხელი როუ ზისას, როცა მის ცარიელ ჭიქას იღებს.

როუზი: მადლობა, ძვირფასო.*(ბოლო სიტყვის ჩაყლაპვა სცადა, მაგრამ უკვე გვიანი იყო.)*

ჰელენი: ჯეიმს, მისტერ დენისს ჩემი გამომცხვარი ქლიავის ნამცხვარი მიაწოდე. *(გადის.)*

ჯეიმსი: უგემრიელეს ნამცხვრებს აცხობს.

მაიკლი: გმადლობთ, არ მინდა, ახლა სახლში უნდა მივდიოდე.

როუზი: ვწუხვარ.

მაიკლი: რატომ?

როუზი: ტვირთად დაგაწექი.

მაიკლი: ასე არაა. მაგრამ ჩემი ცოლი მარტივად ნერვიულდება. ის კარგად ვერაა. პირდაპირ სახლში უნდა წავსულიყავი, მაგრამ , ვიფიქრე ანდერძთან დაკავშირებით კიდევ გვქონდა რაღაც საკითხები განსახილველი.

როუზი *(უნდა დარწმუნდეს, რომ თავის შეყვარებულს ხვალაც ნახავს)* **:** არა, ანდერძი ხვალამდე მოიცდის. ხვალ ხომ მოხვალთ? შეგვიძლია მაშინ ვისაუბროთ.

მაიკლი: რა თქმა უნდა, ნებისმიერ დროს, როცა თქვენთვის მოსახერხებელი იქნება.დილით დაგირეკავთ. ღამით კარგად დაისვენეთ. *(ერთმანეთის დარწმუნებას მამა ბრაუნის თვალწინ ცდილობენ.)*

როუზი: ჩემთვის ძალიან ბევრი რამ გააკეთეთ.

მაიკლი: ეს ჩემი მოვალეობაა, მე ხომ ანდერძის აღმსრულებელი ვარ და არა აღმსარებელი.

როუზი: შემეშალა, ინგლისურში ყოველთვის სუსტი ვიყავი.

მაიკლი: როგორც ანდერძის აღმსრულებელი და მეურვე *(მტკიცედ და ნელა),* ყოველთვის ვეცდები თქვენი ნებისმიერი შეცოდმა გამოვასწორო. ნახვამდის, მამა ბრაუნ.

ჯეიმსი: ნახმავდის, მისტერ დენის, იმედი მაქვს, ერთმანეთს მალე ვნახავთ.

როუზი: მგონი, რომ მოხვედით , იქ რაღაც ქაღალდები დააწყვეთ.

ეს მხოლოდ მიზეზია რომ მოხუცის სავარძლის უკან აღმოჩნდნენ და მის მხედველობის არეს მიეფარონ. კოცნას ვერ ბედავენ, მაგრამ ერთხანს ხელიხელ ჩაკიდებულები დგანან.

მაიკლი: პალტოს ჯიბეში უნდა მქონდეს. *(კართან ერთად მიდიან.)* ქვემოთ არ ჩამოხვიდე, გასასვლელამდე დიდი გზაა. ხვალ გნახავ, როუზ.

როუზი: ხო.

მაიკლი *(არასწორი ფორმის ოთახს უყურებს)* **:** ნახვამდის.

მიდის. როუზი კიბის ბაქნამდე მიჰყვება. კიბეზე მაიკლის ჩასვლის ხმას ვიგებთ, მაგრამ როუზი მაინც არ ბრუნდება. პაუზა.

ჯეიმსი: ძვირფასო, შემოდი და კიდევ ერთი ფინჯანი ჩაი მიირთვი.

როუზი *(შემოდის)* **:** ჩაი საშინლად არ მიყვარს.

ჯეიმსი *(მის ფიქრებს ხვდება)* **:** ხო, გასასვლელ კარამდე საკმაო მანძილია. მხოლოდ სამზარეულოა იქ, სადაც ფიქრობ, რომ უნდა იყოს. პირველ სართულზე. მერე რა რომ ჩაი არ გიყვარს, შემოდი და ისე დაჯექი. სტუმრები ხშირად არ გვყავს ხოლმე.

როუზი: მე სტუმარი ვარ?

ჯეიმსი: ზოგიერთს უყვარს სტუმარი.

როუზი: დიახ. *(ოთახში ბრუნდება, მაგრამ გონებით სხვაგანაა.)* ბიძია, აქ ამდენი ოთახი დაკეტილი რატომ არის?

ჯეიმსი: ასე უცებ შეამჩნიე?

როუზი: ახლახანს სართული შემეშალა, საკმაოდ უცნაური სახლია. ქვემოთ ყველა ოთახი დაკეტილი ჩანს.

ჯეიმსი: ვფიქრობ, სიმართლე უნდა გითხრა. მაგრამ ეს ყველაფერი სულელური ახირებაა.

როუზი: მაინც რა ახირებაა?

ჯეიმსი: არ გეტყოდი მხოლოდ რამდენიმე დღე რომ რჩებოდე, მაგრამ ეს შენი სახლიც უნდა იყოს. ამიტომ ჩემი ახსნის გარეშეც მიხვდები. დააკვირდები დეიდა ტერეზას, დეიდა ჰელენს; მგონი შენთვის ძალიან ბევრი თავსატეხია.

როუზი: ცოტა სასაცილოდ მომეჩვენა როგორც გამოვიდა დეიდა ტერეზა თავისი ოთახიდან და ისე ჩაგვიარა, თითქოს იქ არც კი ვიდექით.

ჯეიმსი: ხო, სასაცილოა, არა? გააგრძელე იმაზე ფიქრი, რომ ეს სასაცილოა და ამავდროულად, ცოტა პათეტიკურიც. ზიანი არავისთვის მოაქვს. უფლება არ მისცე ამ ყოველივეს შენს ნერვებზე ითამაშოს. ხანდახან ვფიქრობ, ახალგაზრდებს ჩვენზე ცუდი ნერვები გაქვთ. ასაკი კარგი წამალია, თავის ეფექტს არ კარგავს.

როუზი: მაგრამ ისევ არ გითქვამს, რატომაა ამ სახლში ამდენი ოთახი დაკეტილი.

ჯეიმსი: ჩემო ძვირფასო, აბსურდული მიზეზის გამო! და მე ეს უნდა შემეჩერებინა. იმედი მაქვს, ყველაფრის მოსმენის შემდეგ ამაზე ისევ გაგეცინება.

როუზი: ყურადღებით გისმენთ.

ჯეიმსი *(გამბედაობას იკრებს)* **:** როგორც ხედავ, დეიდაშენს, ჰელენს, ძველ სასტუმრო ოთახში სძინავს. რადგან ეტლს ვარ მიჯაჭვული სასადილო ოთახი შემომთავაზეს, მაგრამ ვუთხარი, რომ ჩემი ზევით-ქვევით ტარება ძალიან გაუჭირდებოდათ და უმჯობესი იქნებოდა ჩემთვის, ძიძების ძველი ოთახი დაეთმოთ, აი, ის,სადაც ახლა ვარ დაბინავებული. დღისით დეიდა ტერეზა მეხმარება, თუ რამე მჭირდება. მოკლედ, ყველა საძინებელი დაკეტილია.

როუზი: კი მაგრამ რატომ?

ჯეიმსი *(ნელა და უხალისოდ)***:** არ უყვართ იმ ოთახის გამოყენება, რომელშიც ოდესმე ვინმე დაღუპულა.

როუზი: *(გაკვირვებით)***:** დაღუპულა?

ჯეიმსი: *(განგებ უდარდელად)* **:** ერთგვარი ჩვევაა საძინებელ ოთახებთან დაკავშირებით. ამის გარდა ყველა დაკეტილია. ძველი სახლია და ოთახებიც მალე იხურება. როგორც გითხარი ეს ღამის ძიძის მოსასვენებელი ადგილი იყო ძველ დროს, ბავშვები კიდევ ხშირად არ იხოცებიან, ყოველ შემთხვევაში ასაკის გამო არ კვდებიან, ასე დარჩა ეს ოთახი დაუკეტავი.

როუზი: ეს ყველაფერი როდის დაიწყო?

ჯეიმსი: დარწმუნებით ვერ ვიტყვი, მხოლოდ მაშინ შევნიშნე მამაჩვენი რომ გარდაიცვალა. მანამდე სრულიად ჩვეულებრივად მიმაჩნდა დედაჩვენის ოთახის დაკეტვა, რადგან აღარავინ იყო იქ რომ დაეძინა, მე მხოლოდ უქმეებზე მოვდიოდი შინ და სხვა სტუმრები კიდევ არ გვყავდა. მაგრამ, როცა ეს შემემთხვა, *(ფეხებზე ხელებს მსუბუქად ირტყამს)* და აქ საცხოვრებლად სამუდამოდ დავბრუნდი, მაშინღა შევნიშნე, რომ მამას ოთახიც დაეკეტათ. როცა ვთქვი, რომ მეორე სართულზე მდებარე ოთახი მინდოდა, მგონი, ტერეზა იყო რომ მითხრა, ეს როუზის ოთახიაო.

როუზი: როუზის?

ჯეიმსი: ბებიაშენის. ერთადერთი ჩვენგანი იყო, რომელიც დაქორწინდა, როგორც იცი, ის აქ გარდაიცვალა, მაშინ როცა დედაშენი დაიბადა.

როუზი: და მაშინ დაიწყო ეს ყველაფერი?

ჯეიმსი: ალბათ მანამდე. ვის შეუძლია დანამდვილებით თქვას როცა რამე იწყება, როდის დაიწყო? ალბათ მაშინ , ყველანი ბავშვები რომ ვიყავით ამ ოთახში.

როუზი: ოჰ, რა ჟრუანტელის მომგვრელი ამბავია.

ჯეიმსი: არა, არა, ჩემო ძვირფასო, სულაც არაა ყველაფერი ისე ცუდად, როგორც წარმოგიდგენია. ჩემს დებს დავცინოდი და ვაშინებდი მე რომ ამ ოთახში მოვკვდე, საერთო ოთახს რას მოუხერხებთთქო. ალბათ სანამ სული ამომივიდოდა ჩემს ოთახში შემაგდებდნენ და ასე გადაარჩენდნენ ამ ადგილს, მერე კი ჩემს სამყოფელსაც სამუდამოდ დაკეტავდნენ სხვათათვის.

როუზი: მაგრამ მაინც ვერაფერი ვერ გავიგე.

ჯეიმსი: ვერც მე. ალბათ ეს სიკვდილის შიშია. შემთხვევითობები არ აინტერესებთ. საწყალ დედაშენზე დიდად არც ღელავენ, რადგან ჯერ ისევ ახალგაზრდა იყო. ის არ უნდა მომკვდარიყო. მათ მხოლოდ გარდაუვალი სიკვდილი აშინებთ. რა თქმა უნდა, როცა ვინმე გარდაიცვლება, როგორც ნამდვილ კათოლიკეებს შეეფერებათ ისინი ყველაფერს აკეთებენ ხოლმე. მესას ესწრებიან , გლოვობენ და შემდეგ მალევე ივიწყებენ.პირველ რიგში თავიდან სურათებს იშორებენ.

როუზი: მაგრამ რატომ, რატომ?

ჯეიმსი: ეს დენისს უნდა ჰკითხო. ის ლექციებს ატარებს ფსიქოლოგიაში და წიგნებსაც კი წერს. ალბათ ამას ისტერიულ ნევროზს დაარქმევდა, ან რაღაც უფრო რთულს. მე მღვდელი ვარ და ფსიქოლოგიასთან კავშირი კარგა ხანია გავწყვიტე. კარგი ხალხია; მგონი ცხოვრებაში ცოდვა საერთოდ არ ჩაუდენიათო, უმჯობესი იქნებოდა ჩაედინათ. ძველად სწორედ ცოდვილები იმსახურებდნენ დიდ ნდობას, მათდამი თანაგრძნობის გამო. ჩემს დებს ნდობა საერთოდ არ გააჩნიათ. შენ გეშინია სიკვდილის?

როუზი: ამაზე არ მიფიქრია.

ჯეიმსი: ბუნებრივია, სიკვდილი შენგან ჯერ კიდევ შორსაა, ვიდრე მათგან.

როუზი: და შენ? შენ გეშინია?

ჯეიმსი: ოცი წლის წინ კი. შემდეგ უფრო საშინელი რამ შემემთხვა. თითქოს ღმერთმა ჩემი სულელობისთვის დამსაჯა. ავარიის შემდეგ სრულიად უსარგებლო გავხდი. მე ის მღვდელი ვარ მესას ჩატარება, აღსარების მოსმენა ან ავადმყოფის მონახულება რომ არ შეუძლია. სიკვდილზე მეტად უსარგებლოდ ყოფნა მაშინებდა.

როუზი: მაგრამ შენ ოჯახს ძალიან ეხმარები, ბიძია.

ჯეიმსი: მღვდელი მხოლოდ საკუთარ ოჯახზე არ უნდა ზრუნავდეს და მხოლოდ მას არ უნდა ადგებოდეს რამეში. დილაობით, როცა ნახევრად მძინარე ვწევარ, მელანდება რომ ფეხები კვლავ ადგილზე მაქვს. მერე ჩემს თავს ვეუბნები: „ წინ რთული დღე გელოდება, წმინდა კოლუმბას რაინდთა შეკრება და კიდევ სხვა მრავალი რამ...“ ხედავ, რა მოსწაყენია ჩემი ცხოვრება?

როუზი: ახლა მე ვარ აქ და არ შეგვიძლია მდინარეზე ან პარკში გავისეირნოთ?

ჯეიმსი: რატომაც არა, კარგი იქნებოდა, მაგრამ ამისთვის ორი კაცის დაქირავება მოგვიწევს. კიბეებზე ჩემი ჩაყვანა არც ისე ადვილია, საკმაოდ მძიმე ვარ. მაგრამ შენს გამოყენებას არ ვაპირებ, ალბათ მალე დაქორწინდები კიდევაც და აქედან წახვალ.

როუზი: იქამდე ჯერ კიდევ დიდი დროა.

ჰელენი შემოდის.

ჰელენი: ტერეზა სულ ტყუილად ფორიაქობდა, ღუმელს არაფერი სჭირდა, მერი სანდო გოგონაა. მისტერ დენისი უკვე წავიდა?

ჯეიმსი: რამდენიმე წუთის წინ.

ჰელენი: სასიამოვნო კაცია, მაგრამ იუმორის გრძნობა საერთოდ არ აქვს, ბეატრის პოტერის ერთ ზღაპარზე ვესაუბრებოდი და აღმოჩნდა, რომ მასზე საერთოდ არაფერი სმენია.

ჯეიმსი: ამის გამო მის მიმართ ასეთ სიმკაცრეს ნუ გამოიჩენ. ეგრე მეც არ წამიკითხავს „დაკარგული სამოთხე“.

ტერეზა აჩქარებით შემოდის.

ტერეზა: მისტერ დენისი უკვე...?

ჰელენი: უკვე წავიდა.

ტერეზა: ისევ ის ქალბატონი რეკავს, გუშინ რომ დარეკა, მაიკლთან დალაპარაკება უნდა.

როუზი: მისი ნომერი მაქვს. *(ბოლო სიტყვას სიმწრით ამბობს)* შეუძლია სახლში დაურეკოს.

ტერეზა: მე ვუთხარი რომ ის წავიდა და ახლა შენთან უნდა დალაპარაკება, როუზ.

როუზი *(შეშინებული)* **:** ჩემთან?

ტერეზა: თქვა რომ მისის დენისია. დაელაპარაკები, საყვარელო? ისეთ შეკითხვებს მისვამს, მე რომ პასუხები არ მაქვს.

როუზი: მაგრამ მას არც კი ვიცნობ, არასდროს შევხვედრივარ.

ჰელენი ყურადღებით უსმენს.

ჯეიმსი: რა გკითხა, ტერეზა?

ტერეზა: თქვა, რომ გუშინ ღამით მისტერ დენისთან დარეკვა სცადა, თავს ცუდად გრძნობდა. რა თქვი, სად დარჩაო, როუზ?

როუზი: არ ვიცი, სადღაც სოფელში.

ტერეზა: და მერე შენს სახლშიც სცადა დარეკვა, შენ კი იქ არ იყავი. ცოტა უცნაურად ლაპარაკობს. სჯობს წამომყვე, ტელეფონთან გელოდება.

ჯეიმსი: უმჯობესია დაელაპარაკო.

როუზი *(სასოწარკვეთილად)* **:** არ შემიძლია, მე მას არ ვცინობ.

ჰელენი: ნუ ღელავ, ჩემო საყვარელო. გოგონა დაღლილია იმხელა გზა გამოიარა. დეიდაშენი ჰელენი მოაგვარებს ამ საქმეს. *(გადის.)*

ფარდა

მოქმედება პირველი

სცენა მეორე. საერთო ოთახი. მომდევნო დილა.

მაიკლ დენისი მარტოა. თავს უხერხულად გრძნობს. პორტფელს ხსნის, ფურცლები ამოაქვს და კვლავ უკან აბრუნებს. ფანჯარასთან მიდის და გარეთ იხედება. ტერეზა ბრაუნი შემოდის.

ტერეზა: დილა მშვიდობისა, მისტერ დენის!

მაიკლი: დილა მშვიდობის. გუშინ დაგპირდით, რომ მოვიდოდი.

ტერეზა: ასე ადრე არ გელოდით.

მაიკლი: თერთმეტზე ლექცია მაქვს და უნივერსიტეტში უნდა ვიყო.

ტერეზა: ჩემს ძმას ჯერ საუზმობა არ დაუსრულებია. როგორც ხვდებით, მე და ჩემი და დილაადრიან წირვაზე ვიყავით.

მაიკლი: თქვენი ძმის შეწუხება არც მიფიქრია, მე აქ როუზთან დასალაპარაკებლად მოვედი.

ტერეზა: ოჰ, მაგრამ როუზი შინ არ არის. წირვაზეც არ წამოსულა.

მაიკლი: მაშინ შემიძლია სამზე მოვიდე, ორ საათზე რამდენიმე მოსწავლე მყავს.

ტერეზა: შუადღითაც გასული იქნება.

მაიკლი: კარგი, მაშინ ნასადილევს შემოგივლით.

ტერეზა: ჩემი და ამბობს, რომ როუზი მაგ დროსაც გასული იქნება.

მაიკლი *(სევდიანად)* **:** და ხვალ? რას ამბობს მის ბრაუნი, ხვალაც არ იქნება შინ როუზი?

ტერეზა: დიახ, არ იქნება.

მაიკლი: რატომ?

ტერეზა: ვფიქრობ, მან იცის მიზეზი, მე კი არა.

მაიკლი: სად არის როუზი?

ტერეზა: არ ვიცი, მართლა არ ვიცი , მისტერ დენის. ამ სახლში არავინ არაფერს მეუბნება.

მაიკლი: მე დედამისის ანდერძის აღმასრულებელი ვარ და ასევე მისი მეურვე. თქვენი და მასთან ამ საკითხების განხილვას ვერ ამიკრძალავს.

ტერეზა: წარმოდგენაც არ მაქვს რისი გაკეთება შეუძლია ჩემს დას და რისი არა, მისტერ დენის. ის საშინლად მიზანდასახული ქალია.მე მასზე უფროსი ვარ, მაგრამ ის ყოველთვის თავისებური იყო. მან ეს სახლი ისე მოაწყო..*(და თვალს საძინებლისკენ აპარებს კიბის თავზე.)* ძალიან მრცხვენია, არ ვიცი, უცნობები რას ფიქრობენ. მგონი ერთი კარი კიდევ უნდა გავუკეთოთ ამ ოთახს----

მაიკლი: გგონიათ, აქ როუზის მოსვლამდე დავრჩები?

ტერეზა: ოჰ, არ ვიცი, გასულია თუ არა და კიდევაც რომ არ იყოს აქ ვერ შემოვიდოდა, თუ კი?

მაიკლი: მის ბრაუნი, შეგიძლიათ როუზს შეტყობინება გადასცეთ?

ტერეზა: ჰელენს უნდა ვკითხო.

მაიკლი: მაგრამ მე როუზის მეურვე ვარ.

ტერეზა: ჰელენის აზრით, ეს საშინელი შეცდომა იყო.

მაიკლი *(გაბრაზებული)* **:** არ მაინტერესებს მის ბრაუნი რას ფიქრობს...

ჰელენს ჯეიმსი კარში შემოჰყავს, რომელიც ტერეზას დაუტოვებია ღია. მოჩვენებითი გულკეთილობა თავიდან მოუშორებია და ახლა ჩვენ მის ნამდვილ სახეს ვხედავთ. სურვილს, რომელიც მის ჩასკვნილ სხეულში იმალებოდა.

ჰელენი: დილა მშვიდობისა, მისტერ დენის. რა ადრიანად მოსულხართ.

მაიკლი*(ჯიუტად)* **:** როუზის სანახავად მოვედი. დილა მშვიდობის, მამა ბრაუნ.

ჯეიმსი: ალბათ სჯობს ვიხუმრო რომ ამ საქმეში ვერევი, თუ ეს რამეს უშველის.

მაიკლი: არა, ხუმრობა ვერაფერში დაგვეხმარება, მაშინ, როცა არ ვიცი, რა საქმეს...

ჰელენი: თქვენმა ცოლმა კვლავ დარეკა, მას შემდეგ რაც წახვედით, მისტერ დენის.

მაიკლი: ვიცი, თავად მითხრა.

ჰელენი: როუზი ახლა ჩვენი პასუხისმგებლობაა. ამიერიდან მასთან დაკავშირებული საქმეები მხოლოდ ჩვენ გვეხება და ჩვენვე მოვაგვარებთ.

მაიკლი: რა საქმეებს?

ჯეიმსი: ღვთის გულისათვის, ჯერ ყველანი დასხედით, თორემ მეც მინდა რომ ამ ეტლიდან წამოვდგე.

დასასხდომად ემზადებიან.

ტერეზა: მაგ სკამზე არა, მისტერ დენის, ეგ ჰელენისაა.

ჰელენი: ტერეზა, ძვირფასო, მგონი, სჯობს წახვიდე და მერის თვალი ადევნო.

ტერეზა: ხო მაგრამ, ახლა ჩემი ჯერი არაა.

ჰელენი: მისტერ დენისთან სალაპარაკო მაქვს.

ტერეზა: მაგრამ მე უფროსი ვარ.

ჰელენი: სწორედ ამიტომ, ეს შენს თაობას არ ეხება.

ტერეზა*(მავედრებელი მზერით)***:** ჯეიმს?

ჯეიმსი: უმჯობესია წახვიდე, ტერეზა. აქ საკმარისზე მეტნი ვართ.

ჰელენი: მერი პირველ სართულზე უნდა იყოს.

ტერეზა: დაკეტილ ოთახებში მტვერს ხომ არ წმენდს?

ჰელენი: გარკვევით ვუთხარი, რომ ეს არ უნდა გაეკეთებინა. მაგრამ ალბათ უმჯობესია წახვიდე და დარწმუნდე. *(ტერეზა სასწრაფოდ გადის.)* და ახლა , ჯეიმს, *(ჯეიმსი წყნარად და უხერხულად ზის თავის ეტლში. პაუზა.)* შენ დამპირდი რომ შენს სიტყვას ეტყოდი მისტერ დენისს.

ჯეიმსი*(უმწეო ან უფრო მავედრებელი ჟესტით)***:** მისტერ დენისი კათოლიკე არ არის. სააღსარებოში არ ვართ, აქ უფლება არ მაქვს.

ჰელენი: კი მაგრამ ჯეიმს, როცა ქალი ასე ძალიან გთხოვს რამეს, შენ...

მაიკლი: დღეს უკვე მეორედ მიწევს სასამართლო მოსმენაზე გამოსვლა. მგონი, ახლა უზენაესი სასამართლოს წინაშე ვარ წარმდგარი. თქვენ ალბათ გინდათ მკითხოთ მე და როუზი საყვარლები ვართ თუ არა?

ჰელენი: ჩვენ ასე უხეშად არასდროს ვიკითხვადით, მისტერ დენის.

მაიკლი: მაგრამ , როგორც თქვენმა ძმამ თქვა, მე კათოლიკე არ ვარ, ჩემთვის არ უსწავლებიათ "უბიწოების" შესახებ როგორ მესაუბრა.ჩემს ლექციებში მე ყოველთვის ვცდილობ ვიყო პირდაპირი, ეს მხოლოდ კიდევ ერთი სიტყვაა კორექტულობის გამოსახატავად.

ჯეიმსი: მომიტევეთ, მაგრამ თქვენ სულაც არ ხართ კორექტული.

მაიკლი: როგორც უკვე თქვით, თქვენ აქ გავლენა არ გაქვთ და გეთანხმებით, ამიტომ პასუხის გაცემას არ ვაპირებ.

ჰელენი: მაშინ უარესს ვივარაუდებთ.

ჯეიმსი: ყველას სახელით ნუ ლაპარაკობ, ჰელენ, მე ასეთ რამეს არ ვაპირებ.

ჰელენი: გუშინწინდელი ღამე სად გაათიეთ, მისტერ დენის? სოფელში არ დარჩენილხართ, ხომ ასეა?

მაიკლი: არა.

ჰელენი: მაშინ რატომ მოგვატყუეთ?

მაიკლი: ოთახი დაჯავშნილი მქონდა.

ჰელენი: მაგრამ, როდესაც მისის დენისმა დარეკა...

მაიკლი: ორი ადამიანი ცდილობს ჩემ დაკითხვას. მეტ შეკითხვას აღარ ვუპასუხებ, თუ ეს როუზს არ ენდომება. ვფიქრობ, სჯობს მასთან დალაპარაკების ნება მომცეთ.

ჰელენი: მისტერ დენის, თქვენ მას მეტად ვეღარ ნახავთ.

მაიკლი: ეს საკმაოდ მელოდრამატულად და შეუძლებლად მეჩვენება. *(უეცარი შიშით)* ავად ხომ არ არის?

ჯეიმსი: არა.

მაიკლი: საქმე ორ ბავშვთან არ გაქვთ, მის ბრაუნი.

ჰელენი: ერთ-ერთი ნამდვილად ბავშვია.

მაიკლი: სამართლებრივად კიდევ ერთი წელი.

ჰელენი: მგონი თავად თქვენ ხართ ბავშვი. რამდენი შვილი გყავთ?

მაიკლი: არცერთი.

ჰელენი: ისევ რატომ გინდათ როუზის ნახვა?

მაიკლი: ანდერძი...

ჯეიმსი: განაგრძეთ გულახდილობა, ისე უფრო მომწონდით.

მაიკლი *(ტკივილით) :* მე ის მიყვარს. ეს საკმარისად გულახდილად ჟღერს თქვენთვის?

ჰელენი: გულახდილად? ეს, ეს გულისამრევია. ბავშვის შეცდენა დედამისის დაკრძალვაზე.

მაიკლი: მის ბრაუნი, როგორც ჩანს, თქვენ ასეთი აზროვნება ბიბლიოთეკის წიგნებიდან შეიძინეთ.

ჰელენი საუბარს იწყებს, მაგრამ ჯეიმსი აწყვეტინებს.

ჯეიმსი: შენ შენი შეკითხვები უკვე დაუსვი, ახლა კი მარტო დაგვტოვე.

ჰელენი: გაიგონე, მან აღიარა, რომ...

ჯეიმსი: გაბრაზებას აზრი არ აქვს. მხოლოდ იმიტომ ვბრაზდებით, რომ გული გვეტკინა, მაგრამ ჩვენს ტკივილს აქ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. საქმე უფრო მნიშვნელოვან ადამიანებს ეხება.

ჰელენი: შენ მას ჩვენზე მნიშვნელოვანს უწოდებ?

ჯეიმსი: რა თქმა უნდა, ის უფრო მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში, ვიდრე ჩვენ. მე და შენ მხოლოდ საკუთარი თავების მნიშვნელობის შეფასება შეგვიძლია. მაიკლი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, ტანჯვის ატანა კვლავ შეუძლია.

ჰელენი: ჯეიმს, ნეტავ ქადაგებას არ მიკითხავდე.

ჯეიმსი: მაპატიე, ხანდახან მახსენდება, რომ მღვდელი ვარ. გთხოვ, დაგვტოვე.

ჰელენი: ჯეიმს შეგიძლია ერთ რამეს მაინც დამპირდე..

ჯეიმსი: ჰელენ, როცა ასე მონოტონურად, ერთი და იმავეს საუბარს იწყებ, ვერ ვუძლებ. მე და შენ სიკვდილთან ახლოს ვართ...

ჰელენი: ოჰ, ჯეიმს, რა აუტანელი ხარ!

გადის. პაუზა.

ჯეიმსი: ვიცოდი, რომ ეს სიტყვა გაჭრიდა.

მაიკლი: რომელი სიტყვა?

ჯეიმსი: სიკვდილი. *(პაუზა)* მას რა უნდა მოვუხერხოთ?

მაიკლი: მის ბრაუნი საკმაოდ ჯიუტი ჩანს..

ჯეიმსი: მე როუზი ვიგულისხმე. იცოდა რომ დაქორწინებული იყავით?

მაიკლი: რა თქმა უნდა.

ჯეიმსი: თქვენ თქვით რომ დღეს ეს მეორე სასამართლო იყო.

მაიკლი ოთახში წინ და უკან მოუსვენრად დადის, დროდადრო ჯეიმსის სკამთან ჩერდება.

მაიკლი: გასულ ღამეს სახლში რომ მივედი ჩემს ცოლს ჩაკეტილ ოთახში ეძინა. ამ დილით კი იმ მოსამართლესავით, მსჯავრდებულის ჩვენებას რომ მოისმენს, ვერდიქტი გამომიტანა.

ჯეიმსი: და სამართლიანი იყო მისი ვერდიქტი?

მაიკლი: თქვენ სამართლის გწამთ? *(სიბრაზენარევი ირონიით)* რა თქმა უნდა, დამავიწყდა, თქვენ მხოლოდ ღვთის სამართლის გწამთ, ყოვლისმცოდნე მსაჯულის.

ჯეიმსი: ამ სახის სამართალს იმასთან, რაზეც თქვენ საუბრობთ, არანაირი კავშირი არ აქვს. *(თავს აბრუნებს და მაიკლის მოძრაობას აყოლებს თვალს.)* მათემატიკური ტერმინია. ჩვენ მხოლოდ სამართლიან ხაზზე ვსაუბრობთ, ღმერთი სრულყოფილია. ის მოსამართლე არ არის, მხოლოდ აბსოლუტური ცოდნა ყველა ფაქტორის, ცნობიერისა თუ არაცნოებიერის, მემკვიდრეობითობის, თვით ფროიდული მისწრაფებებისაც კი, ამიტომაა ის გულმოწყალე.

მაიკლი *(შესასვენებლად ჯეიმსის სკამთან ჩერდება)* **:** ვიცი, თქვენს თვალში როგორიც ვჩანვარ. შუახნის კაცი, რომლის ცოლსაც მასთან განქორწინება არ სურს.

ჯეიმსი: ეს მაინც არაფერს შეცვლიდა.

მაიკლი: მაგრამ როუზზე დაქორწინება მაინც შემეძლებოდა.

ჯეიმსი: უმჯობესია, მხოლოდ ერთად თუ იცხოვრებდით, ასე ნაკლებად მოგეჯაჭვებოდათ.

მაიკლი: ოჰ, როგორ მძულს თქვენი ლოგიკა.

ჯეიმსი: ხანდახან მე ეს მუხლებთან გადაჭრილი სხული მძულს. მაგრამ მათი ნაკლებობა რომ შევიზიზღო, ეს ჩემს ფეხებს ვერ დამიბრუნებს. ფაქტების სიძულვილი დროის ფუჭი კარგვაა.

მაიკლი: მე სულ სხვა რამის მწამს. *(პაუზა)* მამაო, ფსიქოლოგიაში ჩვენი ერეტიკოსები გვყავს. სიზმრების ახსნების მჯერა, მაგრამ ხანდახან ისეთ მარტივ და მოკლე სიზმრებს ვხედავ, ასახსნელიც არაფერია ხოლმე-ფორმა, ერთმანეთში არეული რამდენიმე ფერი, სილამაზის განცდა, სულ ესაა. მის გაანალიზებასაც აღარ ვცდილობ.

ჯეიმსი: ამ ყველაფერს ჩევნს სასაუბრო თემასთან რა კავშირი აქვს?

მაიკლი: ახლავე ავხსნი როგორ წარმომიდგენია ჩემი სიყვარული. ყველა არგუმენტს მოგიყვანთ. ის სიამაყე, რომ ასეთ ლამაზ გოგოს შეუძლია მე ვუყვარდე, ის იდეა რომ დრო მიდის და უკან არ იხედება, ის ენერგია, რომელიც მოხუცებულობამდე მოდის ადამიანში, მომაჯადოვებელი უმანკოება მაშინ გამოჩნდება, როცა მასზე ფიქრს შეწყვეტ, ეს ყველაფერი მარტორქის ხილვას ჰგავს ჰაიდ პარკში. მართალია, მამაო, რომ ყველა სიზმრის ახსნა შეგვიძლია, მაგრამ ხანდახან ამ ახსნას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ნერვული აშლილობა, ვამბობ მე, მერე ახალგაზრდა და ლამაზი სახე მიმზერს, სხვაგვარად რატომ უნდა განვმარტო ჩემი სიყვარული?

ჯეიმსი: მღვდელი არ უნდა დაარწმუნო იმაში, რომ სიმართლე ხანდახან სულაც არაა სიმართლე. ეს მე დიდი ხნის წინ შევიტყვე სააღსარებოში. თუმცა მირჩევნია მკვდარი იყო, ან რაღაც სხვა.

მაიკლი: რაღაც სხვა?

ჯეიმსი: მოდი ვთქვათ, ბაბუაშენის მსგავსი. საზღვარგარეთ ყოფნისას ალბათ საროსკიპოშიც შეივლიდა, მაგრამ ის დარწმუნებული იქნებოდა, რომ ის ადამიანი გეყვარებოდა, რომელიც ცოლად შეირთე. ის თავის ცოლს იმდენად არ მიატოვებდა-მათი კავშირი იყო ძლიერი- რამდენადაც შენ არ მოკლავდი ვინმეს. შენ უკეთესი კაცი იქნები, მაგრამ ბაბუაშენი უფრო ნაკლებ პრობლემას იწვევდა.

მაიკლი: არ მინდოდა ყველაფერი ასე გამოსულიყო.

ჯეიმსი: საერთოდ არ გაქვს წარმოსახვის უნარი. ფარული სასიყვარულო ურთიერთობა უპრობლემოდ როგორ გექნებოდა?
მაიკლი: მე არ მინდა ფარული რომანი მქონდეს ვინმესთან. ჩემს ცოლთან დაშორებას ვაპირებდი მოგვიანებით, მისთვის უმტკივნეულო რომ ყოფილიყო.
ჯეიმსი: ვცდებოდი, საკმაოდ მდიდარი წარმოსახვა გქონია, თუ ფიქრობ, რომ ქალს ისე მიატოვებ მას ტკივილი არ მიაყენო.
მაიკლი: მე და ჩემს ცოლს უკვე დიდი ხანია ერთმანეთი აღარ გვიყვარს.
ჯეიმსი: მხოლოდ თანამგზავრები იყავით?
მაიკლი: არავის გულისტკენა არ მქონია განზრახული. არც არაფერი დამიგეგმავს. როუზი სულ რამდნეიმე თვის წინ გავიცანი, როცა დედამისის სანახავად მივედი, ექიმებმა ანგინა რომ დაუდგინეს. იცოდა, რომ მალე მოკვდებოდა.სიარული უჭირდა, წონაშიც დაიკლო. როუზის შესახებ უნდოდა გვესაუბრა. მე კათოლიკე არ ვიყავი, მაგრამ ის მაინც მენდო. ჩვენ ორივემ დავკარგეთ მისი ძვირფასი ქმარი. მერე როუზი შემოვიდა ოთახში. არც ამიხედავს, მხოლოდ მაშინ შევიგრძენი მისი თმის სურნელი, დედამისის საკოცნელად რომ დაიხარა. მერე ოთახიდან გავიდა. იმ პეიზაჟს ჰგავდა, მიმავალი მატარებლიდან რომ ხედავ, გინდა ჩახვიდე, გაჩერდე და დიდხანს უმზირო.
ჯეიმსი: მერე?
მაიკლი: მერე მასთან დაკავშირება ვცადე.
ჯეიმსი: და ყველაფრისთვის საზღაურის გადახდა მოგიწევს.
მაიკლი: მაგრამ მინდა გადავიხადო, მხოლოდ მე და არა სხვებმა.
ჯეიმსი: ჩემი და მართალი იყო, როცა ამბობდა, რომ დასაფლავებაზე ეს უკვე დაგეგმილი გქონდათ?
მაიკლი: არა, არც მაშინ. საქმე მე და როუზს რომ არ გვეხებოდეს, ეს ფაქტი მეც გამაოცებდა. "მომზადებული დასამარხად საჭმელ-სასმელი ცივად მიართვეს ქორწილის დღეს“. [1] მაგრამ არანაირი ქორწილი არ ყოფილა და ვერც იქნება, მაშინ როგორ მოვიქცეთ?
ჯეიმსი: ფსიქოლოგი თქვენ ხართ. მოდი ფროიდის, იუნგის დ ადლერის სიბრძნე მოვისმინოთ. განა მათ არ აქვთ თქვენს ყველა თქვენს შეკითხვაზე პასუხი? ჩემგან მხოლოდ მღვდლის პასუხებს მოისმენ.
მაიკლი: მე მოძღვრის პასუხები მაინტერესებს. მერე მეცოდინება რას უნდა ვებრძოლო.

ჯეიმსი: მხოლოდ ერთი რამ შემიძლია გიპასუხოთ. თქვენს ცოლს, როუზს, საკუთარ თავს, ყველას არასწორად ექცევით, ასევე ღმერთსაც, რომლისაც არ გწამთ. წადით, აღარც მისწეროთ და აღარც ნახოთ ამიერიდან როუზი, არც მის წერილებს უპასუხოთ თუ მოგწერთ. რამდენიმე კვირა ცუდად იქნება,ასევე თქვენც, სასტიკი კაცი არ ჩანხართ.

---

[1] უილიამ შექსპირი, ,,ჰამლეტი“. ივანე მაჩაბლის თარგმანი.

მაიკლი: და ბოლოს რა იქნება?

ჯეიმსი: ეს ღმერთს მივანდოთ, ყველაფერი კარგად იქნება.

მაიკლი *(გაბრაზებული)* **:** კარგად?! რა უცნაური წარმოდგენა გაქვთ კარგად ყოფნის შესახებ. კარგი, დავტოვებ მას და მერე მისთვის სიყვარული ყოველთვის ღალატთან იქნება გაიგივებული. როცა ისევ შეიყვარებს ვინმეს, მის გონებაში მუდამ იქნება პირველი სიყვარულის მწარე მოგონება, ასევე ის რომ სიყვარული მარადიული არაა, დაბრკოლებებს ვერ უძლებს. თავდაცვის მექანიზმებს იქამდე გაზრდის, სანამ მათში არ ჩაიკარგება. და მე ისე განვაგრძობ ცხოვრებას, როგორც ბოლო ათი წლის განმავლობაში, ერთღამიანი ურთიერთობისთვის ვიპოვი ქალებს და ვიცხოვრებ ისტერიულ ქალთან. ახლა ისტერიკების მიზეზი ნამდვილად აქვს, მაგრამ გასული ათი წლის განმავლობაში ყოველთვის რაღაცებს იგონებდა. მას შემდეგ, რაც ჩვენი შვილი გარდაიცვალა. ხანდახან ვფიქრობ, ესეც მოიგონათქო. იქ არ ვყოფილვარ, როცა ეს მოხდა.

ჯეიმსი: საკუთარი ცოლიც ვერ განგიკურნავს?

მაიკლი: არა, რადგან მე მისი არამდგრადობის ნაწილი ვარ, ასევე მისი ნევროზის და სახლის.

ჯეიმსი: მაშინ სახლი დაწვი. ღვთის გულისათვის, აღარ გვინდა ამდენი ფსიქოლოგია, მხოლოდ მითხარი რა გინდა.

მაიკლი: როუზთან ერთად ყოფნა. წყნარი, ადამიანური ცხოვრებით ცხოვრება. ოჯახის ყოლა. უფრო მეტი დამაჯერებლობისთვის შეუძლია ჩემს გვარზე გადმოვიდეს. ბავშვების გამო. ასე ვერავინ ვერაფერს გაიგებს და იქნებ, ერთ დღესაც ჩემი ცოლიც გამეყაროს და მერე შევძლოთ დაქორწინება.

ჯეიმსი*(ირონიულად)* **:** შენს ადგილას ამას არ ვიზამდი. როუზს არ ენდომება ფიქტიური ქორწინება.

მაიკლი: თქვენ მას არ იცნობთ.

ჯეიმსი: მის ერთ მხარეს შენზე კარგად ვიცნობ. კათოლიკეს რეგისტრატორის ხელმოწერით ვერ გაასულელებ და ამას ქორწინებას ვერ დაარქმევ. ჩვენც იმდენივე შეცდომას ვუშვებთ, რამდენსაც თქვენ, მაგრამ ჩვენ შეგვწევს მათი გაანალიზების უნარი. არ ვამბობ , რომ უბედური იქნება, მაგრამ მისი ბედნიერება იქამდე გასტანს, სანამ სურვილი ექნება. შემდეგ მიგატოვებს , რეგისტრატორის ხელმოწერის მიუხედავადაც. ვწუხვარ, შენ გამო.

მაიკლი: მაინც გავრისკავ.

ჯეიმსი: და მერე შენი ცოლი?

მაიკლი: მისი ისტერიკები იქამდე გასტანს, სანამ იმას არ მიიღებს, რაც უნდა. ორი რამის გაკეთებაა მხოლოდ შესაძლებელი. მისცე ის, რაც უნდა და ეს მეორე სცენას

მოაახლოებს- ის წარმატებას იყნოსავს, როგორც მამალი ძაღლი ძუ ძაღლს. მეორე გზა გვერდის აქცევაა. მარტო დატოვება, ისტერიულ სცენებს მარტო ვერ გამართავს. ასე ვიქცეოდი და უკეთესი მომავლისთვის კვლავაც გავიმეორებ. მამაო, შეიძლება ჩემი სიტყვები სასტიკად ჟღერს, მაგრამ ასეთი სულაც არ ვარ. ის ჩემი ცოლია და ბუნებრივია მიყვარს, თავისი ჯანმრთელობა ჩვენს შვილს შესწირა. მისი გაბედნიერება მინდა, ვცადე კიდევაც, მაგრამ ასე ვეღარ გავაგრძელებ. გაგრძელებას აზრი არც ერთი ჩვენგანისთვის არ აქვს. ადრე თუ გვიან, მაინც დავშორდებით, ასე ყოფნა კი მხოლოდ ტკივილს ახანგრძლივებს. და რა აზრი აქვს ამ ყველაფერს?

სკამთან მიდის და ჩერდება. ჯეიმსი კანკალებს. თავი ჩაუქინდრავს.

ჯეიმსი: რა საშინელია სამყარო.

მაიკლი: ცოტა ხნით არ შეგიძლიათ დაივიწყოთ, რომ მღვდელი ხართ?

ჯეიმსი *(გამკიცხავი ტონით)* **:** მაგას დღეში ოცდაორი საათი ვივიწყებ.

მაიკლი: როგორც კაცი, რას ფიქრობთ, როუზი აქ, სამ მოხუცთან ერთად ბედნიერი იქნება? სახლში, რომელშიც ამდენი ოთახი დაკეტილია, და რის გამო?

ჯეიმსი *(დაბალი, დარცხვენილი ხმით)* **:** იმ ოთახში ცხოვრება ეშინოდათ, რომელშიც ოდესმე ვინმე მომკვდარა. ამიტომ დაკეტეს ყველა მათგანი.

მაიკლი *(ზედმეტად მტკიცედ)* **:** სწორედ ესაა, გადავწყდომივარ მსგავს შემთხვევებს. დაუძლეველი ნევროზი. ხალხი, რომელთაც გაზრდა არ სურთ, ჰგონიათ, რომ არ მოკვდებიან.

ჯეიმსი: მისტერ დენის, როგორ გიყვართ დაუფიქრებლად რაღაცის განსჯა.

მაიკლი: რა ოჯახია როუზისთვის. რა მოხდება, მაშინ, როცა ერთ-ერთი მათგანი მოკვდება? ან თქვენ მოკვდებით? შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ გადაიტანს ავეჯს სხვა სამალავში? ეს ახალგაზრდა გოგონასთვის შესაფერის ცხოვრებად მიგაჩნიათ?

ჯეიმსი: თქვენი საქციელის გასამართლებლად უამრავ მიზეზს მოიყვანთ.

პაუზა.

მაიკლი *(ტრიუმფის შეგრძნება აქვს)* **:** მაგრამ რა?

ჯეიმსი: ღმერთს საკმარისი მოწყალება აქვს.

მაიკლი: ჩემგან არ უნდა გქონდეთ იმის იმედი, რომ მაგაზე ვიქნები დამოკიდებული.

ჯეიმსი: არ ვიცი, ჩვენ ასე ხშირად ვიქცევით.

მაიკლი: თქვენს დას რომ ვთხოვო აზრი არ აქვს, ამიტომ თქვენ გთხოვთ, მომეცით როუზთან დალაპარაკების უფლება.

ჯეიმსი: არ შეგიძლიათ ცოტახნით მარტო დატოვოთ და გადაწყვეტილების მიღების უფლება მისცეთ?

მაიკლი: ან თქვენი და დაეხმარება გადაწყვეტაში, არა?

ჯეიმსი *(მისი ბოლო მიმართვა)* **:** ფსიქოლოგი ხართ და იცით, რა ხშირად უყვარდებათ ახალგაზრდა გოგონებს თქვენი ასაკის მამაკაცები, ქვეცნობიერად მათში მამებს ხედავენ, რომლებიც არ ჰყოლიათ, ან არასდროს უნახავთ.

მაიკლი *(თითქოს თავს იცავს):* და მერე რა?

ჯეიმსი: როუზი მამამის არ იცნობდა.

ჯეიმსის ნათქვამმა მაიკლი გააღიზიანა. ზედმეტად ფიცხი რეაქცია აქვს.

მაიკლი: კარგი. შეიძლება მამის შემცვლელი ვიყო. სრულებითაც არ მაინტერესებს ეს თუ როუზს გააბედნიერებს. ეს ისეთივე კარგი მიზეზია სიყვარულისთვის, როგორც შავი თმის ან კარგი პროფილის ქონა? თმა იცვლება, კაცს მეორე ნიკაპი ეზრდება. მამის შემცვლელმა შეიძლება მთელი ცხოვრება მიანიჭოს ბედნეირება.

ჯეიმსი: სიცოცხლის მანძილის თვალსაზრისით არ უნდა ილაპარაკო.

მაიკლი: შეიძლება მანამ მოვკვდე, სანამ ჩემით დაიღლება.

ჯეიმსი: შესაძლოა. ამიტომ მასზე დამოკიდებულების ქონა, ცუდი იდეაა.

ქვემოთ ზარი რეკავს.

მაიკლი: შეიძლება წავიდე და როუზი მე თვითონ მოვძებნო?

ჯეიმსი: სახლში არ არის. ამაზე ჰელენმა იზრუნა.

მაიკლი: იქამდე მაინც თუ შეიძლება დაველოდო, სანამ მოვა?

ჯეიმსი: გარეთ ნამდვილად ვერ გაგაგდებთ.

მაიკლი *(კიბეებზე ფეხის ხმა ესმის)* **:** როუზი უნდა იყოს.

ჯეიმსი: არა, მერია.

მაიკლი: არა, მისი ნაბიჯების ხმას ვცნობ. აქ ამოდის. თქვენი ნებართვით, შეიძლება ვნახო? ან სულაც მის გარეშე.

ჯეიმსი: მისთვის რის თქმას აპირებთ?

მაიკლი: ვაპირებ, ვუთხრა, რომ ბარგი ჩაალაგოს.

როუზი შემოდის. მაიკლს სასიამოვნო გაკვირვებით უმზერს.

როუზი: მაგრამ შენ ხომ დარეკე. მათ მითხრეს, რომ დარეკე.

მაიკლი: და რა ვთქვი?

როუზი: რომ ვერ მოხვიდოდი. ერთი კვირით სადღაც უნდა წასულიყავი.

მაიკლი: არასდროს დამირეკავს. მათ არ უნდათ, რომ ერთმანეთი ვნახოთ.

როუზი: მაგრამ ეს ხომ აბსურდია. ბიძია, ამაში თქვენც ხართ გარეული?

ჯეიმსი: არა. მას შენთან სურს დალაპარაკება, შეგიძლია მე გარეთ გამიყვანო.

როუზი *(ხან ერთს უყურებს, ხან-მეორეს)* **:** რა ხდება? თქვენ ორი რაზე ლაპარაკობდით?

ჯეიმსი: მაიკლს უნდა, რომ ბარგი ჩაალაგო.

როუზი *(მაიკლს)* **:** გინდა რომ აქედან წავიდეთ? ჩვენ შესახებ უკვე ყველაფერი იციან? გინდა, დღესვე წავიდეთ? *(აღელვებით და დაუფიქრებლად საუბრობს. მაიკლი უფრო და უფრო შეშფოთებული უყურებს. როუზი ძალიან ახალგაზრდა და გამოუცდელია)* რა იღბლიანი ვარ, ბარგი არც ამომილაგებია. რამდენიმე წუთში მზად ვიქნები. *(უეცარი სინანულით ბიძამისისკენ ბრუნდება)* ოჰ, ბიძია ჯეიმს, ალბათ ფიქრობთ, რომ ძალიან უზნეოები ვართ.

ჯეიმსი: არა, მხოლოდ უმეცრები და უცოდველები ხართ.

როუზი *(სიამაყით)* **:** სულაც არ ვარ უცოდველი.

ჯეიმსი: როუზ, გთხოვ, კარი გააღე.

როუზი: თქვენთვის გულის ტკენა არ მინდოდა, უბრალოდ ასე მოხდა.

ჯეიმსი: ჩემზე ნუ იღელვებ.

როუზი: ვიცი, არასწორად ვიქცევი, მაგრამ ეს სრულებითაც არ მანაღვლებს. ბიძია, ჩვენ ბედნიერები ვიქნებით.

ჯეიმსი: ისიც ასე ფიქრობს?

როუზი სწრაფად უყურებს მაიკლს. ბედნიერ კაცს სულაც არ ჰგავს.

როუზი: საყვარელო, რამე ხდება?

მაიკლი: ჩემმა ცოლმა ყველაფერი იცის.

როუზი *(ზერელედ და ახლგაზრდული გულგრილობით)* **:** ადრე თუ გვიან ასე მოხდებოდა. ძალიან გაბრაზდა?

მაიკლი: ამას გაბრაზებასაც ვერ დავარქმევ.

როუზი: ალბათ საშინელ დღეში იყავი.

მაიკლი: სხვები უფრო საშინელ დღეში არიან.

როუზი: ხო, რა თქმა უნდა. ძალიან სამწუხაროა, მაგრამ აი, ნახავ, კარგად ვიქნებით, ყველა ყველაფერს გადალახავს.

მაიკლი: მან ბევრი იტირა და ასე დავტოვე.

ჯეიმსი: როუზ, გთხოვ კარი გააღე, თავს დანაშაულის თანამონაწილედ ვგრძნობ.

როუზი: ვწუხვარ. *(კარს აღებს ეტლით გასავლელად)*

ჯეიმსი: მინახულე, როცა საუბარს მორჩებით.

როუზი: როგორ ფიქრობთ, დაუმშვიდობებლად წავალ? *(კარს ხურავს და მაიკლისკენ ბრუნდება)* ძვირფასო, მითხარი რა დაგეგმე.

მაიკლი: ჩემი გეგმები წარუმატებელი აღმოჩნდა. ჩემს ცოლს განქორწინება არ სურს. ალბათ დაქორწინებას ვერასდროს შევძლებთ.

როუზი *(უეცარი იმედგაცრუებით)* **:** ოჰ! *(იმედგაცრუებას თავიდან იშორებს)* ამას მნიშვნელობა საერთოდაც არ აქვს. ნამდვილი ქორწინება არც იქნებოდა და ხელს ვერაფერში ვერ შეგვიშლის.

მაიკლი: კი მაგრამ შენ კათოლიკე ხარ. შენამდე კათოლიკეს არავის ვიცნობდი, დედაშენის გარდა.

როუზი: თუმცა მე მხოლოდ ნახევრად ვარ კათოლიკე, მამაჩემი არ ყოფილა.

მაიკლი: შენ მას საერთოდ არ იცნობდი.

როუზი: არა, მაგრამ მისი ბევრი ფოტო მინახავს. შენნაირი ცხვირი ჰქონდა.

მაიკლი *(სიმწრით)* **:** არასოდეს შემინიშნავს.

როუზი: შეიძლება ახლა ბარგი ჩავალაგო?

სანამ დიალოგს აგრძელებენ, ბარგს პატარა ჩემოდანში ალაგებს.

მაიკლი: შენთვის მნიშვნელობა მართლა არ აქვს, ეკლესიას ვგულისხმობ?

როუზი *(მხიარულად, თან სააგაზანოში შედის, პატარა ჩანთას და საღამურებს იღებს)* **:** ოჰ, იმედი მაქვს, რომ ბოლოს ყველაფერი კარგად იქნება. ალბათ სასიკვდილო სარეცელზე აღსარებას ჩავაბარებ და სიწმინდის შარავანდედით შემკული მოვკვდები.

მაიკლი *(როგორც კი გამოდის)* **:** ჩვენი შვილები უკანონოები იქნებიან.

როუზი: როგორც შექსპირი ამბობს ბუშები საუკეთესონი არიან. *(საღამურებს კეცავს და ჩემოდანში ალაგებს.)* ბოლო სემესტრში სკოლაში მეფე ჯონის შესახებ ვისწავლეთ. მონაზვნებმა ეს ნაწილი ნაჩქარევად გაგვატარეს. ბუშებზე კარგი

ფრაზა ეწერა- საიდუმლოდ დაბადებულნი. ფოლკონბრიჯი მომწონდა, ო, თითქოს რა დიდი ხნის წინ იყო ეს ყველაფერი.

მაიკლი: შენი დეიდები აქ დაბრუნების ნებას აღარ მოგცემენ.

როუზი *(კარადასთან მიდის კაბის ასაღებად)* **:** როგორ ფიქრობ, ეს მანაღვლებს? ვერ ვიტან ამ სახლს, აქ ყოფნისას ჟრუანტელი მივლის. იცი, ყველა ოთახი დაკეტილი რატომ აქვთ?

მაიკლი: კი.

როუზი: იმაზე ფიქრს ვერ ვწვეტ, რომელი მათგანი რომელ ოთახში გარდაიცვლება. ვინმე აქ რომ მომკვდარიყო, საცხოვრებლად საკმარისი ოთახები აღარც ექნებოდათ. ნამდვილად საშინელებაა, რაღაც ედგარ ალან პოსეული.

მაიკლი: რამდენი წიგნი წაგიკითხავს.

როუზი: მგონი, რაღაცაზე გაბრაზებული ხარ, თუ ვცდები? რასაც მეტყვი, იმას გავაკეთებ. ოღონდ მითხარი სად წამოვიდე და წამოვალ.რუთის მსგავსად. „შენი ხალხი ჩემი ხალხი იქნება“. მგონი შენიანები ყველანი ფსიქოლოგები არიან.

მაიკლი: ყველა არა.

როუზი: ფროიდის ნაშრომებიც წამიკითხავს. „ყოველდღიური ცხოვრების ფსიქოლოგია“.

მაიკლი: მართლა?

როუზი: ძვირფასო, მგონი რაღაც გაწუხებს. ვინმე სხვა ხომ არ შეგიყვარდა?

მაიკლი: არა, ეს სიყვარულის საკითხები შენით დავასრულე.

როუზი: რაღაცაზე წუხხარ გუშინდელის მსგავსად. რა ხდება?

მაიკლი: მხოლოდ დაწყევლილი პასუხისმგებლობის გრძნობა მაწუხებს. როუზ, ეს სერიოზულია. დაფიქრებულხარ....?

როუზი: არაფერზე ფიქრი არ მინდა. სიყვარულის არაფერი გამეგება ,შენგან განსხვავებით აქამდე არავინ მყვარებია.

მაიკლი: ვითომ?

როუზი: შენი ცოლი.

მაიკლი: ო, ხო.

როუზი: შენ გარკვეული ხარ მსგავს საკითხებში. მითხარი, რა გავაკეთო და გავაკეთებ. ჩემოდანი უკვე ჩავალაგე. შემიძლია ამოვალაგო, თუკი ასე მოისურვებ. საყვარელო, ყველაფერი შემიძლია გავაკეთო, რაც შენთვის მოსახერხებელი იქნება. თუ მეტყვი რიგალ კორტზე შემხვდიო, შეგხვდები.

მაიკლი: რიგალ კორტზე?

როუზი: ეს ის ადგილია, სადაც ხალხი სიყვარულით დასაკავებლად მიდის. ასე ამბობს ყველა, შემიძლია იქ ყოველდღე შეგხვდე, ან ეს ჩანთა ავიღო და შენთან ერთად წლობით გადავიკარგო.

მაიკლი: მხოლოდ წლობით?

როუზი: ოღონდ თქვი რა გინდა. საშინლად დამჯერი ვიქნები.

მაიკლი: ძვირფასო, ალბათ ამაზე არ გიფიქრია, მაგრამ ეს საქმე მხოლოდ მე და შენ არ გვეხება.

როუზი: ნუ მაიძულებ, ნუ მაიძულებ რომ რამე სხვაზე ვიფიქრო.თავს ნუ მომახვევ სხვა საგნებს. ყველა ალბათ თავს დამესხმება მსგავსი კითხვებით-„ ამაზე არ გიფიქრია? იმაზე არ გიფიქრია?“ გთხოვ, ჯერ არ მაიძულო ფიქრი, უბრალოდ მითხარი რა გავაკეთო.

მაიკლი: შენ ჩემთვის ძალიან ძვირფასი ხარ.

როუზი: რა თქმა უნდა, ეს ვიცი.

მაიკლი: არ მინდა, რომ შეცდომა დაუშვა.

როუზი: მაგას საერთოდ არ აქვს მნიშვნელობა. უამრავი დრო გვაქვს.

მაიკლი: ბიძაშენმა მითხრა, სასტიკი კაცი არ ხარო. ახალგაზრდების კარგად არ მესმის. შენს ცხოვრებაში შემოჭრით ბევრი პრობლემა დაგატეხე თავს..

როუზი: და მე არა? ძვირფასო, ამაზე ასე ნუ ღელავ. დარდს დარდი მოაქვსო, ჩემი ძიძა ამბობდა ხოლმე. მოდი ამაზე ფიქრს შევეშვათ და ყველაფერი თავისით მოგვარდება.

მაიკლი: ნეტავ შემეძლოს.

როუზი: მაგრამ სწორედაც რომ შეგიძლია.

მაიკლი: შენ ამ მომენტით შეგიძლია იცხოვრო, რადგან უკან მოსახედი წარსული ძალიან მოკლე გაქვს მომავალი კი-ძალზე დიდი. მე ცოტა ხანი მაქვს კიდევ წინ, მისი განჭვრეტა ადვილად შემიძლია, ბიძაშენსაც კი შეუძლია. წარსული კი საკმაოდ გრძელია ბევრი დასამახსოვრებელი რამით.

როუზი: ასე ბრძნულად გუშინ არ საუბრობდი.

მაიკლი: ჩემს „სიბრძნეს“ უნდა გაუძლო.

როუზი: რა თქმა უნდა, თუ საჭირო გახდება.*(ჩემოდანს ხურავს)* შეგვიძლია წავიდეთ?

მაიკლი: ჯერ სახლში უნდა წავიდე და ჩემს ცოლს დავემშვიდობო.

როუზი: ეს შენთვის რთულია.

მაიკლი *(უხეშად)*: შენს კეთილგანწყობას ჩემზე ნუ დახარჯავ. მთელი ამ წლების შემდეგ მას უფლება აქვს თავი მშვიდად იგრძნოს.

როუზი: ბოდიში.

მაიკლი: ოჰ, მე შენზე არ ვარ გაბრაზებული. მე დანარჩენ მსოფლიოზე ვარ გაბრაზებული, რომელიც ფიქრობს, რომ ვიღაცამ რაღაცები არ უნდა გაითვალისწინოს.

როუზი: იმედი მაქვს, ნებას არ მისცემ გადაგაფიქრებინოს.

მაიკლი: რა თქმა უნდა, არა.

როუზი: მის გვერდით იმდენი ხანია ხარ, რომ შესაფერისი სიტყვები ეცოდინება, მე მხოლოდ არასწორ სიტყვებს ვიყენებ.

მაიკლი: შენ სიტყვები არ გჭირდება, შენ ახალგაზრდა ხარ. და ახალგაზრდა ,როგორც წესი, ბოლოს ყოველთვის გამარჯვებულია. *(მისკენ მიიზიდა როუზი)*

როუზი: სად უნდა შევხვდეთ?

მაიკლი: ლანკასტერ გეიტის სადგურზე, ერთ საათში.

როუზი *(ღელავს შეხვედრის გამო)* **:** კვლავ გინდივარ?

მაიკლი: კი.

როუზი: ვგულისხმობ, როგორც გუშინ?

მაიკლი: ზუსტად ისევე მინდიხარ, როგორც გუშინ.

როუზი: კარგი არ ვიყავი, მაგრამ ყველაფერს სწრაფად ვსწავლობ.

მაიკლი: არაფრის არ უნდა გეშინოდეს. *(კოცნის)* მთელი მომავალი წინ გაქვს.

როუზი: მომავალი, რომელიც მინდა მხოლოდ შენ დაგიკავშირო.

მაიკლი *(მიდის)* **:** ერთ საათში.

როუზი: ნახვადმის, ჩემო გულო.

მაიკლი გადის. როუზი ჩემოდანს ხურავს; მერე ფანჯარასთან მიირბენს. გისოსებს შორის გახედვას ცდილობს და უკეთ დასანახად სკამზე ადის. შემოდის ტერეზა და ოთახის გავლით სააბაზანოსკენ მიდის. კარის დახურვისთანავე ჰელენი შემოდის, ჩემოდანს ხედავს და ჩერდება. როუზი მისკენ ტრიალდება.

ჰელენი: იმედი მაქვს, ფანჯრის გაღებას არ აპირებ.

როუზი *(დამჯერედ)* **:** ბოდიში დეიდა ჰელენ. *(თავის ჩემოდანს იღებს.)*

ჰელენი: სად მიდიხარ?

როუზი: ბიძია ჯეიმსთან დასამშვიდობებლად. *(ჰელენი სკამზე მძიმედ ეშვება)* შენი მხრიდან ძალიან არასწორი იყო იმის თქმა, რომ მაიკლი სადღაც წავიდა. დავბრუნდები, რათა დეიდა ტერეზასაც დავემშვიდობო.

გადის. ჰელენი სავარძელში წყნარად ზის. თვალებზე მომდგარ ცრემლებს თითებით იმშრალებს. ტერეზა საბაზანოს კარს აღებს და გამოდის.

ჰელენი *(მბრძანებლურად)* **:** ტერეზა! ის მიდის. უნდა შევაჩეროთ. *(ტერეზა მას ყურადღებას არ აქცევს და გასასვლელისკენ მიდის. ჰელენი გზას უღობავს.)* ოჰ, სასაცილო ნუ ხარ, ტერეზა, შენებურ სისულელეებს ნუღარ განაგრძობ. *(ტერეზა არ ემორჩილება და გადის)* ტერეზა!

ცოტა ხნის შემდეგ ტერეზა კვლავ ბრუნდება.

ტერეზა: მეძახდი, ჰელენ?

ჰელენი: მშვენივრად გაიგონე, რაც ვთქვი*(ეჭვით)* თუ არ გაგიგონია?

ტერეზა: ჯეიმსის ოთახში ვიყავი და როგორ გავიგონებდი?

ჰელენი *(მრისხანედ)* **:** შენ იქ იყავი *(ოთახზე მიუთითებს)* და ისე იქცეოდი თითქოს ვერავინ გხედავდა.

ტერეზა: ოჰ, არა, ძვირფასო, შენ რაღაცებს იგონებ.

ჰელენი: რის თქმას ცდილობ? საერთოდ კარგად ხარ?

ტერეზა: მგონი კი, რაზე გინდოდა ჩემთან საუბარი?

ჰელენი: დაჯექი. იცი, როცა შემხვედი, ცოტა მრუდედ დაიარებოდი. როგორც ათი წლის წინ, როცა ექიმმა თქვა, რომ...

ტერეზა *(შიშით)* **:** არ მახსოვს, რა თქვა ექიმმა.

ჰელენი: მან თქვა, რომ შენ ძალიან, ძალიან ფრთხილად უნდა ყოფილიყავი.

ტერეზა *(სევდიანად)* **:** და ასეც ვიქცეოდი, ჰელენ.

ჰელენი: ექიმმა თქვა...

ტერეზა *(მუდარით)* **:** ამის მოსმენა არ მსურს, არ მსურს.

ჰელენი: გინდა „იესოს პატარა ყვავილი“ წაგიკითხო?

ტერეზა: მაგრამ ამას მხოლოდ მაშინ აკეთებდი ავად რომ ვიყავი. და ახლა ავად ვარ? ნამდვილად ავად? *(ჯდება)*

ჰელენი: *(მის გვერდით ჯდება)* **:** თაბრუსხვევა ხომ არ გიგრძვნია, რომ ადექი?

ტერეზა ტუჩებს ილოკავს თან გახსენებას ცდილობს.

ტერეზა: შესაძლოა ცოტათი.

ჰელენი: თავის ტკივილიც გაწუხებს?

ტერეზა: სულ ოდნავ. არაფერი განსაკუთრებული.

ჰელენი: და შენი გული?

ტერეზა: გული მიცემს. ჰელენ, შენ ხომ არ ფიქრობ, რომ...?

ჰელენი: რა თქმა უნდა, არა, მაგრამ შენს ასაკში ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. დასაწოლად ხომ არ წახვიდოდი?

ტერეზა: ჰელენ, არ მინდა პრობლემები შევქმნა, ხვალ საჭმელები მე უნდა მოვამზადო. არავინ არ იქნება მერის წასვლის შემდეგ რომ დაგეხმაროს.

ჰელენი: ახლა როუზია აქ, ის დამეხმარება. კარგი ბავშვია. არ დაგვტოვებს თუკი ეცოდინება , რომ რამე გვიჭირს. დავუძახებ მას და საწოლში დაგაწვენთ.

ტერეზა: კი მაგრამ , ჰელენ, ჩემი საწოლი მეზიზღება. არ შეიძლება აქ დავისვენო?

ჰელენი *(ხმადაბლა)* **:** ჩვენი შეთანხმება არ გახსოვს?

ტერეზა: არ მესმის , რას ამბობ.

ჰელენი: ამ დილით მგონი სულ დაყრუვდი. ხან გესმის, ხან -არა. სცადე, აბა, წამოდგომას თუ შეძლებ.

ტერეზა: რა თქმა უნდა, შემიძლია.*(ძლივს დგება და ისევ თავის სავარძელში ეცემა)*

ჰელენი: წამოდი საწოლში, ტერეზა, მე და როუზი მოგივლით.

ტერეზა *(მუდარით)* **:** ჰელენ, გთხოვ...

ჰელენი: ძვირფასო, ძალიან ლამაზი ოთახი გაქვს. აი, რას გეტყვი, მერის ბერნს ოუტში გავგზავნი რომ კიდევ ერთი ხატი მოგიტანოს შენი ოთახისთვის და იქ ჩამოკიდებ, სადაც ღვთისმშობლის ხატი ეკიდა ხოლმე. „ იესოს პატარა ყვავილი“ ხომ არ წაგიკითხო კიდევ?

ტერეზა: წმინდა ვინსენტის ხატი მირჩევნია, მაგრამ ჰელენ...

ჰელენი: სულ რამდნეიმე დღეში კარგად იქნები და ფეხზეც წამოდგები.

ტერეზა *(უიმედოდ)* **:** რადენიმე დღეში?

ჰელენი: წამოდი, ხომ ხედავ დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეგიძლია. სცადე , აბა.

ტერეზა: შემიძლია, ნამდვილად შემიძლია. *(ფრთხილად დგება და ნაბიჯს დგამს).*

ჰელენი: ფრთხილად ძვირფასო, მკლავზე დამეყრდენი.

ტერეზა: არა, არა.

შეშინებული ყვირის და ტერეზა სავარძელში ვარდება.

ჰელენი *(კართან მიდის და იძახის)* **:** როუზ! როუზ! *(მის ხმაში ნამდვილი შიში სულაც არ შეინიშნება. ტერეზა რამდენიმე ნაბიჯს ბარბაცით დგამს დივნისკენ და იატაკზე ეცემა. როცა ჰელენი ბრუნდება და თავის დას ამ დღეში ხედავს, შიში იპყრობს.)* ტერეზა, ძვირფასო, დამელაპარაკე, გთხოვ, ტერეზა! *(იხრება და ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს მისი დის გათრევას ცდილობს კარისკენ. მერე კართან მირბის, კიბის ბაქანზე გადის და ახლა უკვე ნამდვილად შეშინებული ხმით ყვირის.)* როუზ! როუზ! გთხოვ, დამეხმარე, როუზ! დამეხმარე!

/ ფარდა /

მოქმედება მეორე

სცენა პირველი. საერთო ოთახი.საღამო. სამი კვირის შემდეგ.

ტერეზა ბრაუნი სავარძელში ზის და ფეხებზე შალის მოსაფარებელი ახურავს. მამა ბრაუნი მის გვერდითაა თავის ეტლში და ხმამაღლა უკითხავს.

ჯეიმსი *(კითხულობს)*:

იმ იღბლიან ღამეს

სხვათა თვალთაგან მალულად,

მივაბიჯებდი გაუაზრებლად

სხვა არა მქონდა რა გზის მნათობად

გარდა ალისა ჩემს გულში მნათის,

გზას მიკაფავდა და მინათებდა

თვით შუადღის ნათელზე უკეთ

იქით , საითაც მელოდებოდა

ის, ვისაც ვიცნობდი კარგად

სხვა იქ არვინ მეგულებოდა.

„ოჰ, ღამე იყო ჩემი მეგზური!

დილის ნათელზე მეტად კი სიბნელე მეძვირფასებოდა...“ [2]

ჯეიმსი უეცრად ჩერდება.

---

[2] ესპანეთის კათოლიკე მღვდლის-ჯვრის იოანეს (Juan de la Cruz) ლექსი.

ტერეზა: კიდევ ცოტა წამიკითხე.მომწონს, ჰელენზე უკეთ კითხულობ, ვერ ვგებულობ, მაგრამ მომწონს. ის ყოველთვის წმინდა ტერეზას მიკითხავს. მესაუბრება ჩემს „ პატარა ყვავილზე“, მაგრამ სინამდვილეში ის მისი უფროა.

ჯეიმსი: ჰელენს რაღაცები ერთმანეთში ერევა. ისე გვექცევა, თითქოს მარტო ჩვენ ვართ მოხუცები,ის კი ავიწყდება, რომ თვითონაც ასაკშია. მაგრამ ამას განზრახ არ აკეთებს.

ტერეზა: იმ დღეს მართლა სიკვდილის პირას ვიყავი?

ჯეიმსი: მე საიდან უნდა ვიცოდე? ჩვენ ყველას ცალი ფეხი სამარეში გვიდგას ,როუზის გარდა.

ტერეზა: იცი, მაშინ საერთოდაც არ მინდოდა, იმ ოთახში მოვმკვდარიყავი, რომელშიც პატარაობისას ყველა ჩვენი სათამაშო ეწყო. მსურდა, იქ დამელია სული, სადაც ყველა სხვამ- ნამდვილ საძინებელ ოთახში.

ჯეიმსი: რატომ?
ტერეზა: ოჰ, ეს მხოლოდ წამიერი გაფიქრება იყო, მერე ძალიან შევშინდი, ისე როგორც არასდროს. ჰელენი ამბობს, რომ საძინებლების დაკეტვა ჩემი აზრი იყო. ვერ ვიხსენებ , განა ასეა?
ჯეიმსი: ვფიქრობ, ორივეს ასე გინდოდათ, ახლა ზუსტად გახსენება მიჭირს. ყოველ შემთხვევაში, ადრე თუ გვიან, ამ მათ გააღებენ და ალბათ ეს როუზი იქნება.
ტერეზა: ხალხი ყოველთვის სულებზე საუბრობს, მაგრამ ყოველთვის მოჩვენებები მაგონდება, მკვდრები, რომლებსაც არ სძინავთ. ერთხელ ჰელენმა ამბავი მომითხრო დაკარგულ სულებზე...
ჯეიმსი *(აწყვეტინებს)* **:** არასწორად მოვიქეცი ამ ოთახების დაკეტვის უფლება რომ მოგეცით. თავდაპირველად სულელურად და უმნიშვნელოდ მეჩვენებოდა. ახირების გამო რატომ უნდა მეჩხუბა თქვენთან? მაგრამ, თურმე უნდა შეგწინააღმდგებოდით. ძალიან უსარგებლო ვიყავი. ჩემი ერთ-ერთი ოცნება იცი რა არის? შეიძლება ეს ბავშვობის ნატვრაცაა, მინდა ისეთ ვინმეს დავეხმარო, ვინც დიდ გასაჭირშია. შესაფერის დროს ზუსტი სიტყვებით მინდა გავამხნევო. ძველ დროს სააღმსარებლოში, ხუთ წელში ერთხელ, ალბათ ასეც იყო და სწორედ ეს ხდის იმ წლებს ღირებულს. ახლა ეჭვი მეპარება, ასეთი შესაძლებლობა რომ მომცემოდა, ზუსტ სიტყვებს მოვძებნიდი თუ არა.
ტერეზა: სიკვდილის მეშინია ჯეიმს, მასზე გაფიქრებაც კი მოსვენებას მიკარგავს. მერე როუზი მოვიდა, მგონი ისიც დავაფრთხე. კარგი სახლია, ცუდი ხალხი არ ვართ, არ მესმის ირგვლივ ამდენი შიში რატომ სუფევს.
ჯეიმსი: შესაძლოა სწორედ შენმა შიშმა დააფრთხო ის. შენმა სულელურმა შიშმა სიკვდილზე.
ტერეზა: ჯეიმს, ეს ყველაფერი სულელურად გეჩვენება?
ჯეიმსი: იმას, ვისაც ღმერთის სწამს, სიკვდილი არ უნდა აშინებდეს.

ტერეზა: მაგრამ ჯოჯოხეთი, ჯეიმს..
ჯეიმსი: ტერეზა, ჩვენ არ ვართ იმდენად მნიშვნელოვანნი, როგორც ის. ღვთის შემწყნარებლობა არის ის, რისიც მჯერა. ჯოჯოხეთი მხოლოდ დიდებულთათვისაა, მხოლოდ და მხოლოდ მათთვის. სატანას გარდა არავინ მეგულება ისეთი, ჯოჯოხეთში განსამწესებლად რომ იყოს განზრახული.
ტერეზა: საერთოო ოთახში დაბრუნებით მხნეობა შემემატა. ჰელენი კარგად მოიქცა ჩემს ოთახში ის ლაქა, სურათით რომ დამალა, მაგრამ არა „იესოს პატარა ყვავილით“.[3] როგორ ფიქრობ, ჰელენს ის იმიტომ ხომ არ მოსწონს , რომ პატარა ასაკში მოკვდა? ხანდახან როუზს ძალიან უცნაურად უყურებს, თითქოს ფიქრობს, მე გადავრჩები, ასევე შენც.

ჯეიმსი: დასვენება გჭირდება. კიდევ ცოტა ხომ არ წაგიკითხო?

ტერეზა: კი.

ჯეიმსი: წმინდა ჯონი ისევ სულის ბნელ ღამეზე საუბრობს. ჩემთვის ცოტა რთულია გასაგებად, ვისაც ეს აქამდე არ გამოგიცდიათ. როგორც ხედავ, ღმერთთან მოახლოებული შეხვედრა კაცს აჭკნობს. ჩვენ უკვე ვუახლოვდებით ამ დღეს. ის იმ ბნელი ღამის აღწერას ცდილობს, საკუთარი თავი რომ აღმოაჩინა- უსიყვარულო ღამე და დაკარგული ლოცვის ძალა.

ტერეზა: მე ვლოცულობ, დილითაც და ღამითაც.
ჯეიმსი: ოო, მახსოვს ჩემი პატარა ლოცვები, ტერეზა. „მამაო ჩვენო“ , „ავე-მარია“, და მერე გულწრფელი სინანული. მაგრამ გონების მოკრება მიჭირს, ისე რომ სხვა რამეზე არ ვიფიქრო, არადა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. რაღაც ისეთი, რაც წმინდანების ცხოვრებაში ამომიკითხავს. სამრევლოში მუშაობისას, საკუთარ თავს ვარწმუნებდი, რომ ლოცვის დრო არ მქონდა, ოცი წელია ეკლესიაში ვმსახურობ და ისევ მხოლოდ „მამაო ჩვენოს“ წარმოვთქვამ და ნეტავ მართლა ამას ვამბობ?
ტერეზა: ჯეიმს, ვფიქრობ, რომ შენი ბნელი ღამე უკვე გამოიარე.
ჯეიმსი: არა, მაგ სახის სასოწარკვეთამდე ჯერ არ მიმიღწევია. სამრევლოში მძიმე სამუშაო არ მაქვს, კომფორტულად ვარ, ყველაფრით უზრუნველყოფილი და თქვენ გამო ბედნიერი. შემიძლია წიგნებიდან წაგიკითხო ის, რაც წმინდანებმა თქვეს,მიუხედავად იმისა, ვიაზრებ თუ არა მას სრულიად. სადილად რა გვაქვს?
ტერეზა: ყველიანი მაკარონი. *(უცებ ხვდება, რომ ხუმრობს).* ო, ჯეიმს...
ჰელენი შემოდის.
ჰელენი: ხომ არ იცით მერი დაბრუნდა თუ არა?
ჯეიმსი: სამზარეულოში არაა?
ჰელენი: რაღაც საქმეზე გავგზავნე.
ჯეიმსი: მაღაზიებში?

---

[3] იგულისხმება ფრანგი წმინდანი-ტერეზა ლიზიელი, იგივე „იესოს ყვავილი“, ან „პატარა ყვავილი“. გარდაიცვალა ტუბერკულოზით ოცდაოთხი წლის ასაკში.

ჰელენი: არა.

ჯეიმსი: უფრო შორს?

ჰელენი *(გაურკვევლად)* **:** ო, პარკს გადაღმა.

ტერეზა: ლანჩის შემდეგ არ მინახავს.

ჰელენი: მას შემდეგ გასულია. მეგონა მალე დაბრუნდებოდა და ჩაის ჭურჭელს დარეცხავდა, მაგრამ მგონი სჯობს, თავად გავაკეთო.

ტერეზა: როუზი?

ჰელენი: იმედია, არ გგონიათ, რომ როუზი სახლშია*(გადის).*

ტერეზა: რა იგულისხმა?

ჯეიმსი: არ ვიცი.

ტერეზა: ავად რომ ვიყავი, როუზი ძალიან კარგად მეპყრობოდა. ზოგჯერ შეშინებულს მეღვიძებოდა ხოლმე, ის კი ჩემი საწოლის გვერდით სავარძელში თვლემდა. მახსოვს, პატარა რომ ვიყავი, სანამ ჰელენი დაიბადებოდა, დედა ჩემს საძინებელში მაგიდის სანათს ჩართულს ტოვებდა , რადგან ძალიან მეშინოდა. ისეთ ხმას გამოსცემდა, თითქოს ვიღაც ჩუმად სუნთქვადა. ისე როგორც როუზს ეძინა.

ჯეიმსი: კეთილი ბავშვია.

ტერეზა: თავდაპირველად ძალიან უხეშად მეპყრობოდა, არ ვიცი, რატომ.

ჯეიმსი: ამას ახლა არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს.

ტერეზა: სანამ ავად გავხდებოდი, მახსოვს, ჰელენი რაღაცას მეუბნებოდა როუზის აქედან წასვლაზე. სად აპირებდა წასვლას? მგონი გარბოდაო, ასე მითხრა.მაგრამ ჩვენგან გაქცევა რატომ უნდა სდომოდა? ისევ შიშის გამო?

ჯეიმსი: ნუ ღელავ, ის კვლავ აქაა.

ტერეზა: არავინ არაფერს არ მეუბნება.ამიტომ ბევრი რამე ჩემთვის ბუნდოვანია.

ჯეიმსი: თავს ძალას ნუ დაატან, ხშირად უმჯობესია მხოლოდ ის დავიჯეროთ, რასაც საკუთარი თვალით ვხედავთ. შეკითხვები ფსიქოლოგებს დავუთმოთ. „ეს მართლაც ასეა?“ გეკითხებიან ისინი. „ მართლა ფიქრობ, რომ ფიქრობ?“

არც ერთ მათგანს არ გაუგონია კიბეზე ფეხის ხმა.

მერი *(გარედან)* **:** კი მაგრამ მის როუზ, გთხოვთ, მის როუზ...

როუზი: ფეხი გამოადგი!

მერი: მის როუზი, მე ასე მქონდა ნაბრძანები.

როუზი: ვიცი, რაც გიბრძანეს. *(კარი სწრაფად იღება და როუზი მერის ხელის კვრით უბიძგებს რომ მის წინ იაროს.გაბრაზებულია, მაგრამ მხოლოდ ეს არაა.სამი კვირის წინ ის დაბნეული, ენთუზიაზმით აღსავსე ბავშვი იყო. ისეთი ლამაზიც აღარ არის, როგორც უწინ. იმედგაცრუებებით, გადაწყვეტილებებითა და სასოწარკვეთილებით სავსე კვირები გამოიარა და ფიქრისთვის დროც არ ჰქონდა. ალბათ სწორედ ესაა უდიდესი ცვლილება.)* განაგრძე, მოყევი ყველაფერი, რაც იცი.

მერი: მაგრამ მის როუზ...

როუზი: ოჰ, შენი დამქირავებელი აქ არ არის, ხო? *(კართან მიდის და ვიღაცას ეძახის)* დეიდა ჰელენ! დეიდა ჰელენ!

ტერეზა: სამზარეულოშია.

როუზი: მალე ამოვა, მისი ჯაშუში დაბრუნდა.

მერი: გთხოვთ, მის როუზ...

როუზი: ამ ამბავში ყველანი გარეულები ხართ?

ჯეიმსი: არცკი ვიცით, რაზე საუბრობ.

როუზი: ვწუხვარ, ბიძია, უნდა მივმხვდარიყავი, რომ ეს მხოლოდ მისი ნამოქმედარი იქნებოდა, მას ხომ ვძულვარ.

ჯეიმსი: რა აბსურდია?!

როუზი: ისიც ვიცი რატომაც. სიყვარული ნიშნავს დაიბადო, გაიზარდო და მოკვდე, მას კი ამის წარმოდგენა არ უნდა, ირგვლივ კედლებს იშენებს, ამ სახლში ჩარაზული ოთახების მეტი არაფერია, აქ კი ეს საერთო ოთახია, რომელშიც არასდროს არავინ მოკვდება. მარადიული წრებრუნვა. არც არავინ დაიბადება, სარისკოა. მე შემიძლია აქ დავბანაკდე, რადგან ახალგაზრდა ვარ და არაფერი მემუქრება, მაგრამ მამაკაცი ჩემ სანხავად ვერ მოვა, საშიშია, ასე ცხოვრება ერთ ადგილას არ გაჩერდება. ერთმანეთი შეგვიყვარდება, სიყვარულით დავკავდებით, ერთად დავბერდებით, რისკებზე წავალთ, თქვენს მუზეუმებივით ოთახებში.

ბოლო ფრაზის წარმოთქმისას ჰელენი შემოდის.

ჰელენი: აქ რა ხდება? *(მერის ხედავს)* მერი, აქ რას აკეთებ?

როუზი: მე მოვიყვანე, მინდოდა მეც მომესმინა მისი მოხსენება.

ჰელენი: რა მოხსენება?

როუზი: რა თქმა უნდა, ინფორმაცია იმაზე თუ სად მივდივარ, ან ვისთან ერთად, ანგარიში ჩემს თითოეულ გადადგმულ ნაბიჯზე. როგორ მივედი რეგალ ქორთში ორ საათსა და ორმოცდახუთ წუთზე და როგორ წამოვედი იქიდან ექვსის თხუთმეტ წუთზე. ისიც ჰკითხე, რომ იქ ვერავინ ვერ ნახა, რადგან მაიკლი უფრო ადრე მივიდა.

ჰელენი: მერი, სჯობს წახვიდე.

როუზი: არა, მინდა მოვისმინო, როგორ ჩაგაბარებს ანგარიშს.

ჰელენი: მერი, წადი. *(მერი გადის. პაუზა.)* როუზ, წარმოდგენა არ მაქვს რაზე საუბრობ.

როუზი: ოჰ, როგორ არა. ახლა დეტალ-დეტალ მოგიყვები ყველაფერს, რაც მერიმ არ იცის. მაიკლი იქ სამის ნახევარზე მივიდა, ჩვენს მისვლამდე. მე სამ საათზე მივედი და ხუთზე ისევ გამოვეწყვე წამოსასვლელად. მერისგან ამას ვერ მოისმენდი. მთელი ის დრო სიყვარულით დაკავებულები არ ვყოფილვართ, იმიტომ, რომ ეს შეუძლებელია. და უკვე სამი კვირაა იქ ვხვდებით ერთმანეთს , კვირაში სამჯერ ან ოთხჯერ.მას შემდეგ, რაც გაქცევაში ხელი შემიშალე კარგი საქმის გამო. *(მწარედ)* როგორც მეუბნებოდი ჩემი დახმარება ძალიან გჭირდებოდა. უჩემოდაც კარგად გაართმევდი ყველაფერს თავს, მერი სხვა რამით რომ დაგესაქმებინა.

ჯეიმსი: ჰელენ, ნუთუ ეს მართალია?

ტერეზა ჩუმად ტირის.

ჰელენი: ტერეზა, მორჩი ზლუქუნს!

ჯეიმსი: მე გეკითხები, რატომ?

ჰელენი: მასზე პასუხისმგებელნი ჩვენ ვართ. ამ საქმის მოგვარება ჩემი მოვალეობა იყო. შენ ისეთი სუსტი ხარ, მათ ერთად ყოფნის უფლებაც კი დართე. როუზმა გითხრა მაიკლთან ერთად რომ აპირებდა გაქცევას, ეს ხომ მიუტევებელი ცოდვაა?

ჯეიმსი: შენ საიდან იცი?

ჰელენი: ის დაქორწინებული კაცია და იქიდან.

ჯეიმსი: გგონია მიუტევებელ ცოდვას ერთი დანახვით შეიცნობ და გაიგებ? მაშინ ეკლესიაზე უფრო ბრძენი ყოფილხარ.

ჰელენი: საღად ვაზროვნებ, სულ ესაა.

ჯეიმსი: კი, ცოტა შემწყნარებლობა რომ გაგაჩნდეს.

ჰელენი: ჯეიმს, სულელი ხარ.

ჯეიმსი: მე იმას ვხედავ, რაც ჩემს ცხვირწინაა, ღმერთი მეტს არ მოითხოვს ჩემგან...

ჰელენი: მისი ტრაბახი გაიგონე? ახლა თურმე უკვე ერთად იქნებოდნენ ხელი რომ არ შემეშალა.

ჯეიმსი *(მკვახედ)* **:** ხელი რომ არ შეგეშალა?

როუზი: რა თქმა უნდა, ერთად ვიქნებოდით. რა თქმა უნდა, საყვარლები ვიქნებოდით. ოჰ, რამდენს ლაპარაკობ ცოდვებზე. რატომ არ მომეცი წასვლის უფლება? რეგალ ქორთში შეხვედრები სჯობს?

ჰელენი: უმჯობესია. ასე უფრო მალე დასრულდება თქვენი რომანი.

როუზი: სიყვარულის დასასრული კარგად ჟღერს შენთვის, არა?

ჰელენი: ასეთი სიყვარულის კი.

როუზი: და რა განსხვავებაა ასეთ სიყვარულს და სხვებს შორის? სიყვარულით დაკავება სხვანაირი იქნებოდა მას რომ ცოლი არ ჰყოლოდა? *(თავის შეკითხვას თავადვე პასუხობს ხმადაბლა.)* მხოლოდ უფრო მეტად ბედნიერები ვიქნებოდით.

ჯეიმსი *(მის ჯერს ელოდებოდა)* **:** ჰელენ, მომესმა, როცა თქვი, რომ შენ შეაჩერე ისინი?

ჰელენი: კი და მრცხვენია ამის გამო. ასე მას შესაძლებლობა აქვს ეკლესიაში ნებისმიერ დროს მოვიდეს აღსარების ჩასაბარებლად.

როუზი: და ასე ვიარო მთელი ცხოვრება? გგონია, ეს შვილების ყოლაზე და ვინმეს შეყვარებაზე, ან მასთან სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრებაზე უკეთესია?

ჰელენი: სულისთვის დამღუპველი ცოდვით.

როუზი: ღმერთი უფრო კეთილგონიერი და მოწყალეა.

ჰელენი: და კიდევ ერთი ცოდვაა მისი მოწყალებისადმი ზედმეტი ნდობა.

როუზი: ოჰ, თქვენ მაგისთვისაც გაქვთ სახელი, მონაზვნებმა მასწავლეს. კადნიერება. დაე, ვიყო კადნიერი.

ჯეიმსი *(ჰელენს)* **:** რას გულისხმობ, როცა ამბობ მე შევუშალე ხელი წასვლაშიო?

ჰელენი: ტერეზა ავად არ ყოფილა.

როუზი: როგორ თუ ავად არ ყოფილა? გულწასული ეგდო იატაკზე.

ჰელენი: მე ვუთხარი, რომ ავად იყო და მანაც დაიჯერა.

როუზი *(უცებ სხვა მხარეს ბრუნდება.)* ოჰ.

ხანგრძლივი სიჩუმე.

ჰელენი *(თავს იცავს)* **:** ჯეიმს, სწრაფად უნდა მეღონა რამე.

ჯეიმსი: ასეთი სულელი რომ არ იყო, ვიფიქრებდი, რომ ძალიან ბოროტი ადამიანი ხარ.

ტერეზა: ვერ ვხვდები, რაზე საუბრობთ.

ჯეიმსი *(ჰელენს, მწარედ)* **:** იმედია , შენ აუხსნი, მე ამას ვერ შევძლებ. ტერეზა, ძვირფასო, ჰელენთან ერთად შენს ოთახში წადი. უკვე დიდი ხანია ფეხზე ხარ.

ტერეზა: ჯეიმს, ჩემ თავიდან მოშორებას ცდილობ?

ჯეიმსი: კი, ძვირფასო ასეა. წაიღე ჩემი წიგნი, როუზთან პირისპირ ლაპარაკი მინდა.

ტერეზა ოთახიდან გადის. კართან ჩერდება.

ტერეზა: ჰელენ, არ მოდიხარ?

ჰელენი *(ჯეიმსს)* **:** არ გენდობი, მეც უნდა დავრჩე.

ჯეიმსი: თუ ასე ძალიან გინდა, დარჩი. როუზ, ტერეზა თავის ოთახში წაიყვანე.

როუზს ტერეზა მკლავგაყრილი კარისკენ მიჰყავს.

ტერეზა*(ბავშვივით მუდარით)* **:** ჯეიმს, ხომ მოხვალ და ღამე მშვიდობისას ხომ მისურვებ?

ჯეიმსი: ჯერ ადრეა. სადილის შემდეგ მოვალ და წიგნს მანამ წაგიკითხავ, სანამ არ ჩაგეძინება.

როუზი და ტერზა გადიან.

ჯეიმსი *(ჰელენს)* **:** ტერეზა კინაღამ მოკალი.

ჰელენი: მხოლოდ ის ვუთხარი, რომ კარგად არ გამოიყურბეოდა, სხვა არაფერი მქონია განზრახული...

ჯეიმსი: საკმაოდ ნათლად დაგვანახე, რა იყო შენი მიზანი.

ჰელენი: ნეტავ ეს გოგო აქ არასდროს ჩამოსულიყო.

ჯეიმსი: აჰ, ნეტავ მართლაც. გავანადგურეთ აქ.

ჰელენი: ჩვენ? ჩვენ არაფერ შუაში ვართ, ყველაფერი იმ უზნეო კაცის ბრალია...

ჯეიმსი: მას ნურაფერს დააბრალებ. ყველაფერი ჩვენი უსარგებლო ვითომ შემწყნარებლობის ბრალია. წმინდა წიგნების, ხატების, მთელი შეწირული თანხების. როგორ ფიქრობ, როუზი ისეთ სახლში რომ შემოსულიყო, რომელშიც სიყვარულია, უყოყმანოდ არ მოგვიყვებოდა ყველაფერს? უფრო მეტს არ იფიქრებდა, სანამ რამეს გადაწყვეტდა?

ჰელენი: და რატომ არ მოიქცა ასე?

ჯეიმსი: იმიტომ, რომ ამ სახლში სიყვარული კი არა, შიში სუფევს. მსხვერპლის სანაცვლოდ რისი შეთავაზება შეგვეძლო? ფარისევლური ერთფეროვნება.

ჰელენი: მხოლოდ შენს თავზე ისაუბრე.

ჯეიმსი: ასეც ვიქცევი.წესიერება, რომელიც ზის და ღვთისმოსავად მოაქვს თავი და გამუდმებით იხრწნება.

ჰელენი: მაიკლმა ის შეაცდინა.

ჯეიმსი: რა სულელური ნათქვამია და მერე რა, ასეც რომ იყოს? ღმერთისთვის ხშირად კეთილი საქმეები უფრო მნიშვნელოვანია, ღვთისმოსავი საუბარი სარეველასავით უსარგებლოა.

როუზი შემოდის.

როუზი *(გარკვევით)* **:** აბა?

ჯეიმსი *(ჰელენს)* **:** სჯობს, ბოდიში მოუხადო როუზს.

ჰელენი: ბოდიში?

ჯეიმსი *(როუზს)* **:** მას არავითარი უფლება არ ჰქონდა შენთვის ეთვალთვალა.

ჰელენი: მასზე მზრუნველობა ჩვენ გვაკისრია და მან ჩვენ მოგვატყუა.

როუზი: შენც მომატყუე.

ჰელენი: ტყუილიც არის და ტყუილიც.

ჯეიმსი: ამ სახლში მეტი აღარ იქნება. ღმერთო მაპატიე, მაგრამ ჰელენ თავს მაბეზრებ. გთხოვ, წადი.

ჰელენი: არსად წასვლასაც არ ვაპირებ.

ჯეიმსი: ვიცი შენი ძმა ვარ, მაგრამ ჯერ კიდევ მღვდელი ვარ, ამიტომ, როგორც მღვდელი, წასვლას გთხოვ.

ჰელენი კარისკენ მიდის, ბრუნდება და სალანძღავ სიტყვებს ისვრის.

ჰელენი: შენისთანა უსარგებლო მღვდელი ეკლესიამ თავიდან უნდა მოიშოროს.

გადის და კარი იხურება.სიჩუმე.

როუზი *(გამომწვევად)* **:** იცით, ეს ყველაფერი რას ნიშნავს? *(პასუხი არ არის)* თუ დეიდა ტერეზა კარგადაა, მაშინ მე თავისუფალი ვარ და შემიძლია მაიკლთან ერთად წავიდე. ზუსტად იქ ვართ, სადაც ვიყავით.

ჯეიმსი: ვითომ?

როუზი: ერთმანეთით არ დავღლილვართ, თუ ამას გულისხმობთ. *(გამომწვევად)* უფრო მეტადაც კი გვიყვარს ერთმანეთი და უკეთ გავიცანით.

ჯეიმსი: მიხარია, რომ რეგალ ქორთში გატარებული საათები ნაყოფიერი გამოდგა შენთვის.

როუზი *(გაბზარული ხმით)* **:** ნუ დამცინით. გთხოვთ, ნუ დამცინით.

ჯეიმსი: საერთოდ არ მეცინება.

როუზი: ბიძია, საერთოდ არაა შესანიშნავი. სამწუხაროა, სამწუხარო. *(ჯეიმსის სკამთან იატაკზე ჯდება.)* დავიღალე, არ ვიცი, რა გავაკეთო.

ჯეიმსი: მაიკლი როგორ უმკლავდება ამ ყველაფერს?

როუზი: მხოლოდ მაშინ ვუმკლავდებით, როცა ერთად ვართ. სამის ნახევრამდე ბედნიერები ვართ, სამ საათზეც. მერე ცოტას დავიძინებთ ხოლმე. ოთხ საათზე არც ისე კარგია, მერე ხუთის თხუთმეტ წუთზე განუსაზღვრელი სევდა გვიპყრობს. საშინლად მგრძნობიარენი ვხდებით განშორებისას. ბუხრის თავზე ოქროს საათი კიდია, ერთხელაც იქნება დავამსხვრევ. ამას თქვენ არ უნდა გეუბნებოდეთ.

ჯეიმსი: მინდა მოვისმინო. ხალხი გულღიად მხოლოდ სააღმსარებლო ოთახებში მესაუბრება.

როუზი: „ჩემი ბოლო აღსარებიდან , მრუშობა ოცდაშვიდჯერ ჩავიდინე“- ამის მოსმენა უნდა დეიდა ჰელენს ჩემგან, მაგრამ მამაო, ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. თქვენი დახმარებით ხომ ღმერთს ვესაუბრებით? და ღმერთმა ყველაფერი იცის ბუხრის თავზე ჩამოკიდებული საათის შესახებ. არ მინდა აღსარების ჩაბარება. მინდა ვთქვა: „ღმერთო მაღალო, მოგვეც ჩვენ უფრო მეტი სიყვარული. უფლება მოგვეცი ერთად ვიცხოვროთ, ნუ დაუშვებ ჩვენი ურთიერთობა რეგალ ქორთს ვერ გასცდეს“. გესმით რა მინდა?

ჯეიმსი: ისე, როგორც შემიძლია გავიგო.

როუზი: როგორ უნდა მოვიქცეთ?

ჯეიმსი: ჩემო ძვირფასო...

როუზი *(აწყვეტინებს)* **:** მღვდლის პასუხი არ მაინტერესებს, რადგან თავადაც კარგად ვიცი. ვერ დამიჯერებია, რომ რასაც დეიდა ჰელენი ამბობს სიმართლეა, რომ ღმერთს ურჩევნია რეგალ ქორთი და კვირაში სამჯერ ერთმანეთთან დამშვიდობება არსებობდეს, ვიდრე სხვა რამ.

ჯეიმსი: მაინც რა?

როუზი: ოჰ, მშვიდობა, ბავშვები, ერთად დაბერება. ეკლესიის გარეთ.

ჯეიმსი: თქვენ ბედნიერები ვერ იქნებით...

როუზი: რა თქმა უნდა, ვიქნებით. ზიარების გარეშე შემიძლია ვიცხოვრო, ეს იმდენ ტკივილს არ მომაყენებდა, მაგრამ მთელი ცხოვრება მაიკლის გარეშე?

ჯეიმსი: დაშორებას ყველა უძლებს. დრო თავისას შვება.

როუზი: სანამ დრო გავა და ტკივილს თან წაიღებს, თუ ეს მართლაც ასე ხდება, მანამ მასთან ერთად უნდა ვიცხოვრო. სიზმრებში უნდა ველოდო მხოლოდ მის ნახვას.

ჯეიმსი*(მოწყენილად და გაოცებით)* **:** ამ სამ კვირაში როგორ უცებ გაიზარდე.

როუზი: გგონია მაიკლი რომ მივატოვო, ის ღმერთი უფრო მეტად მეყვარება, ეს ტკივილი რომ მოითხოვა და ტანჯვის ატანას ისევე ითხოვს ჩვენგან, როგორც ეს თვითონ ქნა?

ჯეიმსი: რაღაცებს ზედმეტად ამარტივებ.

როუზი: მაგრამ ზუსტადაც რომ მარტივი სიტუაციაა, მამაო. არაფერი განსაკუთრებული, მხოლოდ სასიყვარულო ურთიერთობა.

ჯეიმსი: პრობლემა იმაშია, რომ ღმერთს საკმარისად არ ენდობი. როგორ გგონია, ის ვერ ხედავს შენს ტანჯვასა და პრობლემებს? ყველაფერი უფრო მარტივი იქნებოდა შენთვის, მხოლოდ თვალებს თუ დახუჭავდი და მას მიანდობდი შენს ბედს.

როუზს სახე უმკაცრდება. როგორც ჩანს, მაინც არ დაიჯერებს.

როუზი: დამეხმარება ღმერთი კი? ის ყოველთვის ასე არ იქცევა. მიმოიხედე ირგვლივ, დააკვირდი დღევანდელ სამყაროს. ისე ჩანს, თითქოს მას გმირები სჭირდება, მაგრამ მე ოდნავადაც არაფერი მაქვს გმირული. მშიშარა ვარ. ზედმეტი ტკივილის ატანა არ ძალმიძს. ჩემნაირი ბევრია მსოფლიოში, მამაო. როცა მას ვღალატობ, მის გზას გადავუხვევ, მგონი პეტრეზე უარესად არ ვიქცევი. ღმერთმა ლაჩრებისთვისაც ისევე გასწირა თავი, როგორც გმირებისთვის.

ქვემოთ ზარი რეკავს.

ჯეიმსი: მან ისინი გმირებად აქცია, პეტრეც კი.

როუზი: ოჰ, ჩვენ ვკითხულობთ ღვთის წარმატებების შესახებ. აი, მისი წარუმატებლობების შესახებ კი არაფერს ვიკვლევთ. მისი ბედნიერი წარუმატებლობები, რომლებსაც ის დიდად არ აინტერესებთ და ცხოვრებას წყნარად და მშვიდად განაგრძობენ.

ჯეიმსი: ადამიანმა ხელმოცარულობაც უნდა დაიმსახუროს.

როუზი: მაგრამ მე ცდაც არ მინდა. მე მხადლი ვარ, მხოლოდ ოდნავი ადამიანური კომფორტი მინდა და არა გავრცელებული ფრაზები „გიყვარდეთ ღმერთი“,

„ენდეთ ღმერთს“, „ერთ დღეს ყველაფერი კარგად იქნება“. ბიძია, გთხოვ რაიმე არაკათოლიკური მითხარი.

ჰელენი სწრაფად შემოდის.

ჰელენი: როუზ, ქვემოთ ვიღაცას შენი ნახვა უნდა.

ჯეიმსი: ვის?

ჰელენი: მისის დენისს.

ჯეიმსი: რა უნდა? *(ეჭვით)* ან აქ ვინ მოიყვანა?

ჰელენი *(ფარული ტრიუმფით)* **:** უკვე გითხარი-მას როუზის ნახვა სურს.

როუზი შეშინებული ტრიალდება. პაუზა.

ჯეიმსი: ჰელენ, ეს ისევ შენი ხრიკებია? უთხარი, რომ როუზი ავადაა ან აქ არ არის. რაც გინდა ის უთხარი, ოღონდ აქედან წავიდეს.

ჰელენი: მას უფლება აქვს...

ჯეიმსი: ამ საბრალო ბავშვმა უკვე საკმარისი გადაიტანა.

ჰელენი *(დამცინავად)* **:** ბავშვი?

ჯეიმსი: დიახ, ბავშვი.

როუზი სწრაფად ტრიალდება მათკენ.

როუზი: მე ხომ აქ ვარ? რას ელოდებით? უთხარით, რომ ამოვიდეს. *(კართან მიდის და აღებს. ჰელენი მერის ეძახის, რომ სტუმარი ამოიყვანოს.)*

ჯეიმსი *(უხალისოდ)* **:** გაუძლებ მასთან საუბარს?

როუზი: მის არსებობას აქამდე ვეგუებოდი და მგონი არ გამიჭირდება მასთან პირისპირ ლაპარაკი.

ჯეისმი თავის ეტლს კართან აჩერებს და როუზს კიდევ ერთხელ მიმართავს.

ჯეიმსი: ჩემს ოთახში ვიქნები, თუ რაიმე დაგჭირდება, დამიძახე.

როუზი ჯიუტად არაფერს არ პასუხობს და ჯეიმსი გადის. როუზი მარტო დგას, სახით კარისკენ და მერიც შემოდის და მისის დენისს წარუდგენს და კარს მის უკან სწრაფად ხურავს. მისის დენისი დაახლოებით ორმოცდახუთი წლის ქალია, ნაადრევად გაჭაღარავებული თმით და ნევროზული, მაგრამ შეუპოვარი სახით. შემოდის. აღელვებული ჩანს როუზთან შეხვედრის გამო და თითქოს ამ საერთო ოთახის უცნაურობამ ისიც შეაშფოთა.

მისის დენისი: მაიკლი აქ არის?

როუზი: არა, გეგონათ აქ იყო?

მისის დენისი: მითხრა, რომ ლექციაზე იყო, მაგრამ უკვე აღარაფერი ვიცი. შენ როუზი ხარ ხომ?

როუზი: დიახ, და თქვენ მაიკლის ცოლი, ასეა?

მისის დენისი: თქვენი ერთ-ერთი წერილი წავიკითხე, გულის ჯიბიდან გადმოუვარდა მაიკლს.

როუზი: მართლა?

მისის დენისი: წერილების შენახვის სულელური ჩვევა ყოველთვის ჰქონდა.

როუზი: ჩემთან მხოლოდ ამის სათქმელად მოხვედით?

მისის დენისი *(ღვარძლიანად)* : შენი წერილი ისეთი გულისამაჩუყებელი იყო, ვფიქრობ, მას ზედმეტად ენდობი.

როუზი: დიახ, ასეცაა.

მისის დენისი: მას არ უნდა ენდო, ეს არ შეგიძლია, მაგრამ , რა თქმა უნდა, შენ ყველაფერი არ იცი, მაიკლი ამას არ გეტყოდა. ყოველთვის იყო რაღაც პრობლემები მის სტუდენტებთან დაკავშირებით. ვფიქრობ, ფროიდის ერთად კითხვა. ჩვენი ქორწინებიდან სამი წლის შემდეგ, როცა ჩვენი შვილი გარდაიცვალა, შემეძლო მას დავშორებოდი.

როუზი: და რატომ არ განქორწინდით?

მისის დენისი *(მრისხანედ)* **:** იმიტომ, რომ ის ჩემთან უფრო ბედნიერია და ყოველთვის ასე იქნება. მისთვის ყველაფრის პატიება შემიძლია. და შენ შეძლებ ყველაფერი აპატიო?

როუზი: არა, იმიტომ, რომ მიყვარს. მუდმივი მიმტევებლობით მას ჩემს პატიმრად არ ვაქცევდი. ერთი წუთითაც არ ვაიძულებდი ჩემთან დარჩენას, თუ მეცოდინებოდა, რომ ჩემგან წასვლა სურდა.

მისის დენისი: ის მხოლოდ ამაზე ფიქრობს.

როუზი: ამის ყოველგვარი უფლება აქვს. უფლება აქვს არასწორად იფიქროს.

მისის დენისი: შენ რომ ნამდვილად ჰყვარებოდი მაიკლს, აქამდე დამტოვებდა.

როუზი: სწორედ ამას აპირებდა სამი კვირის წინ.

მისის დენისი: მაგრამ, როგორც ხედავ, ისევ ჩემთანაა.

როუზი: იმიტომ, რომ მე ვერ შევძელი მასთან ერთად წასვლა.

მისის დენისი: რატომ?

როუზი: ჩემი შეცოდების უნარიც ბოროტად გამოიყენეს და აქ დარჩენა მაიძულეს.*(სასტიკად)* მას თქვენ ეცოდებით.

მისის დენისი *(ავი განზრახვით)* **:** ასე სულაც არ ჩანდა გასულ ღამეს..

როუზი *(ტკივილნარევი ხმით წამოიყვირებს)* **:** თქვენი არ მჯერა.

მისის დენისი: თუ მე მზად ვარ მის გასაყოფად ვინმესთან...

როუზი: ცრუობთ და თქვენ ეს მშვენივრად იცით! აქ რისთვის მოსულხართ? ჩემ გასატეხად ათასგვარ ტყუილს იგონებთ. რა უზნეო ქალი ხართ.

მისის დენისი: უზნეო-ამ სიტყვის შენგან მოსმენა ძალზედ უცნაურია. მე მაიკლის ცოლი ვარ.

როუზი: და შეგიძლიათ მის ცოლადვე დარჩეთ. მე მხოლოდ ის მინდა, მასთან ერთად ვიყო და მაიკლი გავაბედნეირო. *(მისის დენისი უეცრად განადგურებული ეცემა სავარძელში და ხმით მოთქმას იწყებს. როუზი ცოტა ხანს უსიტყვოდ უმზერს, მაგრამ გულგრილი დიდხანს ვერ რჩება.)* მაპატიეთ. *(სასოწარკვეთით)* ოჰ, ყველაფერი როგორ აირია.

მისის დენისი: გთხოვ, მის თავს ნუ წამართმევ.

როუზი: რისი გაკეთება შემიძლია? მე ხომ მაიკლი მიყვარს.

მისის დენისი: მაგრამ მეც მიყვარს. მხოლოდ ის მინდა, ახლოს მყავდეს, ამით თქვენს ურთიერთობას არაფერი დაუშავდება.

როუზი: ვითომ?

მისის დენისი: ვიცრუე, წლებია ერთად აღარ ვყოფილვართ, როგორც ცოლ-ქმარი.

როუზი: ოჰ, სიყვარული მხოლოდ ინტიმური კავშირის ქონას როდი ნიშნავს. ზოგჯერ ერთად ყოფნისთვის ამაზეც კი შემიძლია უარის თქმა. მასთან ერთად ერთ სახლში ყოფნა და სიწყნარეში წიგნის კითხვაც სიამოვნებას მანიჭებს.

მისის დენისი *(ისტერიკულად)* **:** როდის მიდიხართ? ვიცი, რომ ერთად წასვლას აპირებთ ,ნუღარ მაწამებ, მითხარი.

როუზი: არ ვიცი.

მისის დენისი: ახალგაზრდა ხარ, მთელი ცხოვრება წინ გაქვს, ნებისმიერი მამაკაცის მოხიბვლა შეგიძლია. გთხოვ, მაიკლს შეეშვი. *(ნაწყვეტ-ნაწყვეტ საუბრობს)* მე კი მის გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია. *(როუზი უყურებს როგორ იზრდება მისი ისტერიკა, თავზარდაცემული და კუთხეში მომწყვდეული ჩანს.)* თავს მოვიკლავ, მაიკლი თუ მიმატოვებს.

როუზი: არა, არა , ასე ვერ მოიქცევით.

მისის დენისი: ვიზამ. ვიცი, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ მასზე დაქორწინება შეგიძლია და ამაზე ფიქრობ კიდევაც.

როუზი: გთხოვთ, ასე ნუ ლაპარაკობთ, ეს სიცრუეა.

მისის დენისი: მიატოვე მაიკლი, გთხოვ. წადი იქ , სადაც ვერ მოგაგნებს. ახალგაზრდა ხარ დ ადვილად გადაიტან განშორებას. ახალგაზრდები ყოველთვის უფრო ადვილად უძლებენ ყველაფერს.

როუზი: მაგრამ მე არ მინდა, რომ მას დავშორდე და ამ ყველაფერთან გამკლავებაც არ მინდა.

მისის დენისი: ავად ვარ, ცოტა მოთმენაც არ შეგიძლია? მხოლოდ ექვსი თვე მოიცადე და საკუთარი თვალით ნახავ. ექვსი თვე დიდი დრო არაა. *(თითქმის ტირილით)* არავითარი უფლება არ გაქვს, ასეთი ტკივილი მომაყენო. *(დგება და როუზისკენ მიემართება)* არანაირი უფლება. *(უეცრად როუზს სილას აწნის, მაგრამ მაშინვე მუხლებზე ეცემა და მაგიდას მუშტებს უშენს.)* ამის გაკეთება არ მინდოდა, შენ მაიძულე, შენ მაიძულე. სიკვდილი მინდა, სიკვდილი მინდა, სიკვდილი მინდა. *(როუზი უმწეოდ დგას და უყურებს, როგორ უშენს მისის დენისი მაგიდას მუშტებს, არ იცის, რა ქნას.)* მაიკლსაც ეს უნდა, რომ მოვკვდე.ყველას ჩემი სიკვდილი გინდათ.

როუზი: არა, არა, ასე არ არის. *(სასოწარკვეთილად)* ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ ბედნიერები ვიყოთ.

მისის დენისი: თუ მაიკლი შენთან ერთად გაიქცევა, მე ნამდვილად გავგიჟდები.*(ფეხზე დგება, ნერვულმა შეტევამ გადაუარა. კვლავ სკამზე ჯდება)* ცოტა წყალს ხომ ვერ მომიტან?

როუზი გასასვლელ კართან მიდის. როგორც კი როუზი თვალს ეფარება, მისის დენისი ფეხზე სწრაფად დგება და თავის ჩანთას ეძებს, რომელიც მაგიდაზე დაუდია. ელვას ხსნის და ჩანთიდან ბოთლს იღებს, თავსახურს ხსნის. როუზი რომ შემოდის, ბოთლს ხელში მალავს და წყალს ართმევს.

მისის დენისი: შეგიძლია ეს შუქი ჩააქრო? ძალიან კაშკაშაა. *(როუზი ჩამრთველთან მიდის, მისი დენისი ხელის გულზე წამლის აბებს იყრის. ამას განზრახ ნელა აკეთებს , რადგან როცა როუზი შემობრუნდება, ეს ყველაფერი დაიანახოს. როუზი რომ ბრუნდება, ხედავს , რასაც აკეთებს, მასთან სწრაფად მირბის, ბოთლს ხელიდან გლეჯს და ოთახის ბოლოში ისვრის.ისტერიკულად.)* ასე რატომ მოიქეცი? ახალ შეკვრას ვიყიდი.

როუზი: აქედან რომ წახვალთ, რაც გინდათ ის ქენით. ამით ჩემ დაშანტაჟებას ცდილობთ.*(კიბიდან სწრაფი ნაბიჯების ხმა ესმის. მერე კარში ვიღაც შემოდის.)* მაიკლ, ღვთის გულისათვის. *(მაიკლი შემოდის.)* მაიკლ.

მაიკლი *(თავის ცოლს უყურებს)* **:** გავიგე, რომ აქ იყო.

როუზი *(ტირილით)* **:** მან თავის მოკვლა სცადა.

მაიკლი: არა, ცდები, კარგად ვიცი მისი ეს ხრიკები. *(თავის ცოლს მიმართავს)* შენ შემპირდი, რომ ასე მეორედ აღარ მოიქცეოდი. ამას ვნების მეტი არაფერი მოაქვს შენთვის, ძვირფასო.

მისის დენისი: ძვირფასოს ნუ მეძახი.

მაიკლი: ასეთი ხარ, აბა სხვაგვარად როგორ მოგმართო?

როუზი მათ უყურებს. განადგურებული და დაბნეულია. ჯერ იმდენადაც არ გაზრდილა, რომ გაიგოს რამდენი სახის სიყვარული არსებობს ირგვლივ.

მისის დენისი: მაგრამ შენ ხომ ჩემ მიტოვებას აპირებ?

მაიკლი: კი.

მისის დენისი: ოო, ეს ჩემთვის აქამდე არ გითქვამს, ახლა კი აღიარებ კიდევაც, რომ ეს გაქვს განზრახული?

მაიკლი: აქამდე სუსტი ვიყავი და ამის გამო ყველაფერი გავართულე. ხალხის აზრებს კარგად უნდა ვიცნობდე, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგება, მეც სხვებივით ვიქცევი.

მისის დენისი: მაიკლ, ის შენთვის ზედმეტად ახალგაზრდაა.

მაიკლი *(სინანულით)* **:** ახლა უკვე მგონია, რომ მე ვაიძულებ სწრაფად გაიზარდოს.

მისის დენისი: და მე რა ბედი მელის? ბავშვიც კი არ მყავს.

მაიკლი: ყველაფერი კარგად გექნება. უამრავი მეგობარი გყავს. ცოტა ხნის შემდეგ- *(თითქოს მუდარით ეუბნება)*- შეგვიძლია ერთმანეთი კვლავ მოვინახულოთ.

როუზი უცებ ტრიალდება. იმ ორის ერთად დანახვა უკვე აღარ შეუძლია. აშკარად ცოლი და ქმარი არიან.

მისის დენისი: თუ წახვალ, ვეღარასოდეს მნახავ, იცოდე. ვერც იმას გაიგებ რა დამემართება, კარგად ვიქნები თუ ცუდად, არ გეცოდინება. არ ვაპირებ, ჩემთან მოსვლის და ჩემი ცრემლების ყურების უფლება მოგცე.

მაიკლი: მაგრამ მე მინდა, რომ ბენდიერი იყო. ჩვენ ერთად არასდროს ვყოფილვართ ბედნიერები. მაგრამ მერე როუზს შევხვდი...

მისის დენისი: ბედნიერებაზე ძალიან ბევრს საუბრობ. არა, არც მე ვყოფილვარ ბედნიერი და როგორ გგონია შენ გარეშე უკეთ ვიქნები? ბედნიერება ხომ ყველაფერი არაა? შენს ლექციებზე ბედნიერ ადამიანებს ხშირად ხვდები? მაიკლ, მარტო ყოფნა არ მინდა, მეტიც მეშინია. ღვთის გულისთვის, ყველაფერს დავივიწყებ და გაპატიებ. მაგრამ შენ ღმერთის არ გწამს, მისგან განსხვავებით. *(როუზიზე მიანიშნებს)*

როუზს მეტის გაძლება აღარ შეუძლია, ბრუნდება და კამათში ერთვება.

როუზი: გაჩერდით, გთხოვთ, გაჩერდით! ყველაფერს ზედემეტად ართულებთ. ორივე. *(მაიკლი და მისის დენისი ბრუნდებიან და როუზს უყურებენ, როგორც უცხო პირს, მათ კამათი რომ შეაწყვეტინა. როუზს მზერას ხან ერთზე აჩერებს, ხან-მეორეზე.)* მისის დენის, მე და მაიკლს ერთმანეთი გვიყვარს,ეს არის და ეს. ვიღაცებს ერთმანეთი ხომ ყოველდღე უყვარდებათ, წიგნებშიც ვკითხულობთ ამაზე. ხალხი თქვენნაირად არ იქცევა, თვეში ოთხასამდე წყვილი შორდება ერთმანეთს.

მაიკლი: და მერე ასობით ადამიანი იტანჯება.

როუზი: მაგრამ, საყვარელო, შენ ხომ არ დაიტანჯები? შენ ჩემთან ერთად წასვლა და ცხოვრება ხომ გინდა? მასთან დარჩენასაც არ აპირებ. ჩვენ აუცილებლად ვიქნებით ბედნიერები.

მისის დენისი: ხომ ხედავ მაიკლ, ის საერთოდ არ იტანჯება.

მაიკლი *(მისკენ გაბრაზებული ტრიალდება)* **:** იტანჯება და თან როგორ, მაგრამ ამას ხმამაღლა არ ამბობს და იარაღად არ იყენებს თავის ტანჯვას, თავს არავის აცოდებს. *(ხმას დაბლა უწევს)* ბოდიში, უკვე მეც ვყვირი, ასე ყველანი ისტერიკულები გავხდებით.

მისის დენისი: მეტ ისტერიკას ვეღარ იხილავ. *(დგება)* შეგიძლია სახლში წახვიდე და ბარგი ჩაალაგო, მე იქ არ ვიქნები და ხელს არ შეგიშლი და მანამ არ დავბრუნდები, სანამ არ წახვალ. *(კარისკენ მიდის)* ან შეგიძლია სახლში დარჩე ამაღამ, არც ღამით მოვალ.

გადის. როუზი მაიკლისკენ იწვდის ხელს, მაგრამ ის ამას ვერ ხედავს. კარს მიშტერებია.

მაიკლი *(თავისთვის)* **:** ღმერთმა იცის, რის გაკეთებას აპირებს.*(ოთახს ტოვებს და გვესმის როგორ ეძახის მის ცოლს კიბის ბაქნიდან და ამდენი ხნის განმავლობაში პირველად ვიგებთ მისის დენისის სახელს.)* მერიენ! მერიენ! *(როუზი უსმენს და ხელი კვლავ გაწვდილი აქვს, მერე კი უღონოდ უშვებს.)* მერიენ! *(მაიკლი ოთახში ნელა შემოდის-თავის თავს უფრო ელაპარაკება, ვიდრე როუზს, თავს იმხნევებს.)* არა, არაფერს ცუდს არ გააკეთებს. ადამიანები, რომლებიც თვითმკვლელობაზე ხმამაღლა საუბრობენ, ამას არასდროს აკეთებენ. *(პაუზა)* იქნებ სჩადიან?

როუზი: არა. მაიკლ, რის გაკეთებას ვაპირებთ? *(მაიკლი მას არ უსმენს. მზერა კარისკენ აქვს მიპყრობილი.)* მაიკლ! მაიკლ!

მაიკლი: ხო.

როუზი: გკითხე, რის გაკეთებას ვაპირებთ-მეთქი?

მაიკლი *(უბედურად)* **:** ოჰ, ჩვენ აუცილებლად ვიქნებით ბედნიერები.

როუზი: მართლა?

მაიკლი: რა თქმა უნდა, ამასაც გადავლახავთ და ორივენი ბედნეირები ვიქნებით. *(კვლავ მწარედ თავისთვის)* სხვების ტკივილის დავიწყება, მათი უგულვებელყოფა ადვილია, მე ეს კარგად ვიცი. ამას უკვე კარგა ხანია ვაკეთებ, ტკივილთან გამკლავება ჩემი პროფესიაა.

როუზი: მართალი თქვი, შენს ცოლს რომ უთხარი, რომ ერთად მივდივართ?

მაიკლი: ასე ვთქვი? ხო, ბრაზმა მძლია და იმიტომ ვუთხარი.

როუზი: და ამას არ გულისხმობდი?

მაიკლი: რა თქმა უნდა, როგორც კი დეიდაშენი გამოკეთდება, მაშინვე წავალთ.

როუზი: ის უკვე უკეთაა და მე თავისუფალი ვარ.

მაიკლი *(ნელა)* **:** მაშინ, შეგვიძლია წავიდეთ.

როუზი: როდის? ახლა თუ ხვალ?

მაიკლი ცოტას ყოყმანობს.

მაიკლი: ზეგ. იცი, მე ის უნდა ვნახო და გავიგო, როგორ არის.

როუზი: ნეტავ ასე ძალიან არ გიყვარდეს შენი ცოლი.

მაიკლი: ჩემო ძვირფასო, ჩემო ძვირფასო, ეჭვიანობის მიზეზი არ გაქვს.

როუზი: არ ვეჭვიანობ უბრალოდ შენს ტანჯვას ვერ ვუყურებ, ესაა და ეს.

მაიკლი: ჩვენ უცილობლად კარგად ვიქნებით- ზეგ *(როუზს კოცნის და კარისკენ მიემართება.)*

როუზი*(გაღიზიანებულია, არ იცის, რა ქნას და სკოლის მოსწავლის ხმით ამბობს.)* **:** ნახვამდის.

მაიკლი *(ფიქრებით ისევ თავის ცოლთანაა)* **:** ნეტავ ვიცოდე, სად წავიდა, ბევრი მეგობარი არ ჰყავს.*(გადის)*

როუზი, მაიკლის ბოლო სიტყვის გაგონებისას, პირზე ხელს იფარებს. კიბეზე მისი ჩასვლის ხმა ესმის. განადგურებულია, პირზე ისე იფარებს ხელს, თითქოს ამით ცრემლებს შეაჩერებს. ჰელენის ხმის და ჯეიმსის ეტლის ჭრიალის გაგონებისას ფეხზე დგება. ჰელენს თავისი ძმა ოთახში შემოჰყავს.

ჰელენი: კარგი იქნება თუ გვეტყვი, როდის მიდიხართ.

როუზი *(სუსტად წარმოთქვამს)* **:** ზეგ.

ჰელენი *(მის ძმას)* **:** არ დაგავიწყდეს ტერეზას წიგნის წაკითხვას რომ დაპირდი.

ჯეიმსი: არ დამვიწყებია. მაგრამ, აი, შენ კი გავიწყდება რაღაც. *(ჰელენი ყოყმანობს ,მერე როუზთან მიდის, ლოყაზე კოცნის და ოთახიდან გადის. როუზი გახევებული დგას. ხანგრძლივი პაუზა.)* შემიძლია რამით დაგეხმარო?

როუზი *(უფრო თავის თავს ესაუბრება)* **:** ვუთხარი, ნუ მაიძულებ ამაზე ფიქრსთქო, გავაფრთხილე კიდევაც *(მამა ბრაუნი მოხრილი უსიტყვოდ ზის თავის ეტლში)* იმ დღეს რომ წავსულიყავით, უკვე ერთად ბედნიერები ვიქნებოდით. იმ ხალხზე ვერაფერს ვიფიქრებ, რომელთაც არც კი ვიცნობ. აქამდე ის მხოლოდ სახელი იყო. მერე აქ მოდის, მუშტს მაგიდაზე ურტყამს და ტირის. ისინი ერთად ვნახე. ბიძია, დაქორწინებულები არიან. აქამდე ეს მხოლოდ ფუჭი სიტყვები იყო ჩემთვის. მაიკლმა მითხრა, რომ ისინი უბრალოდ იყვნენ ერთად. დღემდე ეს ყველაფერი წიგნში წაკითხულს ჰგავდა, მაგრამ ახლა საკუთარი თვალით ვნახე, ვნახე როგორ ეხებოდა მის ცოლს მკლავზე, როგორ უნდა მოვიქცე? *(ბიძამისის გვერდით იატაკზე ეშვება)* მამაო, მითხარი როგორ მოვიქცე?

ჯეიმსი: როცა „მამაოთი“ მომმართავ, თავისუფლად ლაპარაკის უფლებას მართმევ. რაც შემიძლია გითხრა, რთული მოსასმენია.

როუზი: მე მხოლოდ ის მინდა ვინმემ მითხრას „ეს გააკეთე“, „ის გააკეთე“ ან „იქ წადი“ „აქ მოდი“. არაფერზე ფიქრი აღარ მინდა.

ჯეიმსი: და თუ მე გეტყვი რომ მაიკლი მიატოვო...

როუზი: დაშორებით გამოწვეულ ტკივილს ვერ გავუძლებ.

ჯეიმსი: თუ ასეთი სუსტი ხარ, მაშინ მასთან ერთად უნდა წახვიდე.

როუზი: მაგრამ მისის დენისსაც ვერ გავიმეტებ ასეთი ტანჯვისთვის.

ჯეიმსი: ოჰ, როგორი ბავშვი ხარ. ზედმეტად ბევრის მოლოდინი გაქვს. შენს შემთხვევაში ან საკუთარი თავის ტანჯვა უნდა აირჩიო, ან-სხვების.

როუზი: მაგრამ ირგვლივ იმდენი ცხოვრებით კმაყოფილი ადამიანია. ხალხი გარბის და ბედნეირები არიან. წამიკითხავს ასეთ შემთხვევებზე.

ჯეიმსი: მეც წამიკითხავს. და ისეთი ზღაპრებიც მსმენია, რომელბიც ამბობენ : „ და ცხოვრობდნენ ისინი დიდხანს და ბედნიერად“.

როუზი: მაგრამ ასეც ხომ ხდება.

ჯეიმსი: ალბათ სულელებისთვის. ჩემო ძვირფასო, შენ სულაც არ ხარ სულელი. მაიკლს თავისი მოტივები აქვს. ის ისევე ხვდება თავის ეგოისტობას, როგორც შენ შენს დანაშაულს. ფსიქოლოგი და კათოლიკე, თავს ვერ გაისულელებთ, თუ არ ჩავთვლით რეგალ ქორთში გატარებულ ორ საათს.

როუზი: შემიძლია, შემიძლია.

ჯეიმსი: მთელი ცხოვრება გაქვს საკუთარი თავის მოსატყუებლად, საკმარისი დროა იმ ისტერიკული ქალის დასავიწყებლად, რომელსაც ყოველგვარი უფლება აქვს უნდოდეს თავისი ქმრის გვერდით ყოფნა.

როუზი *(ტკივილით წამოიყვირებს)* **:** ოჰ! *(კარი იღება და ტერეზა შემოდის საღამურით. როუზი მას თვალს აყოლებს, ტერეზა კი მათ ყურადღებას არ აქცევს და საკუჭნაოსკენ მიდის. კარი რომ იხურება, როუზი ბიძამისის მუხლებზე დამხობილი ქვითინებს. ჯეიმსი მის დამშვიდებას ცდილობს და თმაზე ხელს უსვამს. როუზი თავს მაღლა სწევს.)* რა საშინელებაა, საშინელება, საშინელება!

ჯეიმსი: ვიფიქრე, ეს ყველაფერი სასაცილოდაც არ გეყოფოდა.

როუზი: ამ ოთახში, რომელშიც არავინ მომკვდარა, ცხოვრებას ძველებურად ვერ გავაგრძელებ. ბიძია, გთხოვ , მითხარი, რომ ახლავე წავიდე. კათოლიკურ ახსნებს ნუ დამიწყებ. დამეხმარე, გთხოვ, დამეხმარე.

ჯეიმსი: მეც მინდა, რომ დაგეხმარო და რამეში გამოგადგე. ერთადერთი სურვილი რომ მქონდეს, თქვენს ერთად ყოფნას ვისურვებდი, მაგრამ როცა საუბარს ვიწყებ, ენა კატეხიზმოებით მაქვს დამძიმებული და უფლებას არ მაძლევს რამე ვთქვა.

როუზი: რამე იმედის მომცემს ვერ მეტყვი?

ჯეიმსი: ოჰ, იმედი! ეს უკვე სულ სხვა საქმეა. იმედი ყოველთვის არის.

როუზი: და რისი იმედი?

ჯეიმსი: ყველაფრის გადალახვის, მაიკლის დავიწყების. *(როუზი ფეხზე წამოხტება და მისგან შორს დგება. ჯეიმსი შესაფერისი სიტყვების მოძებნას ცდილობს, მაგრამ ვერაფერს იფიქრებს-გაცვეთილი ფრაზების გარდა.)* ძვირფასო, წირვები ყოველთვის ტარდება და ის დაგეხმარება. შენი კრიალოსანი, ხომ გაქვს კრიალოსანი?

როუზი *(სიძულვილით)* **:** ლოცვები!

ჯეიმსი: როუზ, გთხოვ. *(ის შეშინებულია იმით, რაც შეიძლება როუზმა თქვას, ცდილობს საჭირო სიტყვების პოვნას, მაგრამ კვლავ არაფერი გამოსდის)* მხოლოდ უნდა მოიცადო...

როუზი: შენ მითხარი, მასთან ერთად თუ წახალ, მაიკლი მთელი ცხოვრება უბედური იქნებაო. მაგრამ მე თუ აქ დავრჩები, ამ საერთო ოთახისა და იმ საკუჭნაოს გარდა არაფერი მექნება. ასევე მეუბნები რომ იმედი არსებობს და უნდა ვილოცო. და ვის მიმართ? წმინდანებსა და ღმერთზე ლაპარაკს ნუ დამიწყებ. იმ ღმერთის არ მწამს ფეხები რომ წაგართვა და მაიკლი ჩემგან წაიყვანა. არც ღვთისმშობლისა და შენი ეკლესიის მწამს. არ მწამს! არ მწმას! *(ჯეიმსი მისკენ ხელს იწვდის, მაგრამ როუზი კიდევ უფრო შორს დგება.)* ღმერთს ვთხოვ, ნეტავ ასე ძლიერ არ ვიტანჯებოდე.

ჰელენი შემოდის და მის წინ გადაშლილ სცენას გულგრილად უყურებს.

ჰელენი: უკვე თითქმის სადილის დროა. ტერეზა თქვენ გკითხულობთ და მაგიდა აქ უნდა გავშალო.

ჯეიმსი: არ შეიძლება დღეს მაინც გამოვიყენოთ სხვა ოთახი?

ჰელენი: მშვენივრად იცი, რომ აქ სხვა ოთახი არ გვაქვს. *(ჯეიმსის ეტლს ხელს ჰკიდებს და კარისკენ მიჰყავს, ისიც არ აპროტესტებს. ჯეიმსი თავს ძალიან მოხუცად და განადგურებულად გრძნობს. როუზს მიმართავს.)* მაგიდის გაწყობას თუ დაიწყებ, მეც ახლავე შემოგიერთდები.

ჰელენს ჯეიმსი ოთახიდან გაჰყავს.

როუზი: არ მჯერა, არა, არ მჯერა.*(ოთახში აქეთ-იქით დადის და მისის დენისის წამლის ბოთლს ხედავს, იმუხლება და იღებს მას. შემდეგ საკუჭნაოსკენ მიემართება სასოწარკვეთილი და იძახის.)* დეიდა ტერეზა! ძვირფასო დეიდა ტერეზა. *(საკუჭნაოს კარი იღება და ტერეზა გამოდის. ოთახის გადაჭრას აპირებს და როუზს საერთოდ არ იმჩნევს, როგორც მას ჩვევია.)* დეიდა ტერეზა, გთხოვ.*(ერთი წუთით მისი აბნეულ გონებას თითქოს ესმის ძახილი. სანახვეროდ ტრიალდება როუზისკენ, მერე კი ისევ გზას განაგრძობს კარისკენ.)* ღვთის გულისათვის, დამელაპარაკე რამე, მე ვარ, როუზი! *(ტერეზა ოთახიდან გადის და კარს ხურავს. როუზი სასოწარკვეთილი ეცემა იატაკზე კიბის ბაქანთან დგება დაკეტილ კართან.)* არავინ დამეხმარება? *(ბოთლიდან ხელისგულზე აბების გადმოყრას იწყებს. როცა ყველას გადმოაპირქვავებს, ლოცვას ცდილობს, მაგრამ ერთ სიტყვასაც ვერ იხსნებს.)* მამაო ჩვენო, რომელი ხარ, რომელი ხარ- *(უეცრად გაუაზრებლად იმ ლოცვას წარმოთქვამს, რომელსაც ბავშვობაში და ხელის გულზე დაყრილ აბებს დასცქერის.)* დედაო ღვთისავ, ძიძავ, დაო მერი ლუიზ, გთხოვ ღმერთო, სკოლა ნუღარასოდეს, ნუღარასოდეს დაიწყება.

/ფარდა/

მოქმედება მეორე

სცენა მეორე. საერთო ოთახი. მომდევნო დილა.

იატაკზე უამრავი ქვეშაგები არის დახვავებული. მამა ჯეიმს ბრაუნი თავის ეტლში ზის, მაიკლ დენისი მისგან ზურგშექცევით დგას და ფანჯრიდან რაღაცას გაჰყურებს. მერი, მოსამსახურე ქალი, კარისკენ მძიმე სკამს მიათრევს.

მერი*(ჩერდება)* **:** „მის ჰელენ“ -ვუთხარი მე-„ უმჯობესია საგნები იქ დატოვოთ, სადაც მათი ადგილია“, „მერი“ მითხრა მან-„შენ ფულს გაკეთებული საქმისთვის გიხდიან და არა გაცემული რჩევებისთვის“.

ჯეიმსი: მერი, ხომ არ დაგეხმარო?

მერი: მირჩევნია, დამოუკიდებლად გავაკეთო. სჯობს ყველამ თავის საქმე აკეთოს, ასე უფრო სასარგებლოა. *(სკამი უკვე თითქმის მიათრია კართან და უკან ტრიალდება, ჯეიმსს მიმართავს.)* ნეტავ მისთვის ასე მეთქვა: „ მის ჰელენ, მე სახლის საქმეებისთვის მიხდიან“, მანამ სანამ იმ საწყალი გოგოს თვალთვალს დამავალებდა. ნეტავ საერთოდ არ დავთანხმებოდი.

ჯეიმსი: რამდენი საშინლად ფუჭი სურვილია დღეს ამ სახლში.

მერი: ოჰ, თეთრეული მავიწყდება.*(მათ ერთად აწყობს სკამზე.)* ადგილს სულ ტყუილად იკავებს. ნეტავ ცარიელი სკივრების აქ დატოვების უფლებას თუ მომცემენ? და ახლა სად უნდა მიირთვათ ხოლმე საჭმელი? სასირცხვილოდ მიმაჩნია ამხელა სახლში თქვენთვის ერთი საერთო ოთახი რომ ვერ გამოიძებნა.

მერის საუბრის განმავლობაში ჰელენი შემოდის.

ჰელენი: მერი, ძალიან დიდხანს უნდები საქმეების გაკეთებას. *(მაიკლი ფანჯარას შორდება და ჰელენი ახლაღა ამჩნევს მას.)* არ ვიცოდი, თუ მისტერ დენისიც აქ იყო.

მერი გადის.

მაიკლი: როუზის სანახავად მოვედი. იმდენი მოწყალებაც არ გამოიჩინეთ, რომ ჩემთვის მისი სიკვდილის ამბავი შეგეტყობინებინათ.

ჰელენი: მაგრამ თქვენ ჩვენი ოჯახის წევრი არ ხართ. *(სკამს იღებს.)*

მაიკლი: ისეთი ვინმეს კვალობაზე, ვისაც სიკვდილის ძალიან ეშინია, ზედმეტად ბევრი ზიანი მიაყენეთ ირგვლივ მყოფებს.

ჰელენი *(მაიკლის სიტყვებს ყურადღებას არ აქცევს.)* **:** ჯეიმს, თუ ტერეზას ოთახს, მისაღებ და საძინებელ ოთახად გამოვიყენებთ, შენ ადგილის გამოცვლა აღარ დაგჭირდება.

ჯეიმსი: დღეს საერთოდ არ მაინტერესებს სად დავიძინებ.

ჰელენი: ქალი რომ იყო, მიხვდებოდი, რომ ცხოვრება გრძელდება.

მაიკლი: როუზიც ქალი იყო, მაგრამ მას განსხვავებული შეხედულებები ჰქონდა.

ჰელენი სკამს იატაკზე დგამს.

ჰელენი: რაც მოხდა იმაში ბრალს მე რატომ მდებთ? თუ ვინმეა დამნაშავე, ეს სწორედ თქვენ ხართ. *(მაიკლს მიმართავს)* სწორედ თქვენ კლავდით მას მთელი კვირების განმავლობაში რეგალ ქორთში. ნელ-ნელა ბღალავდით მის სინდის-ნამუსს და საბოლოოდ თავიც მოიკლა.

მაიკლი *(ბრალმდებლურად)* **:** ჩემი ცოლი აქ რომ არ მოგეყვანათ, არც საძილე აბები გაჩნდებოდა ამ ოთახში.

ჯეიმსი: მაშინ იქნებოდა ფანჯარა ან მეტრო. მტყუან-მართლის გარჩევა როუზს ვერ გააცოცხლებს. *(მაიკლს)* და თქვენ დანაშაულის არ უნდა გჯეროდეთ.

ჰელენი: მხოლოდ ერთადერთ დამნაშავეს ვიცნობ.

მაიკლი *(საუბარში ეჭრება)* **:** ხოო? ჩაიხედეთ აბა თქვენს ნევროზით დაავადებულ გულში.

ჯეიმსი: მეგონა, ფროიდი ამბობდა რომ დანაშაულის გრძნობაზე ცუდი გრძნობა არ არსებობს...

მაიკლი: ღვთის გულისთვის, დღეს ფსიქოლოგიაზე ლაპარაკს ნუ დამიწყებთ. ფსიქოლოგია როუზს ვერ დაეხმარებოდა. წიგნები, ლექციები, სიზმრების ანალიზი, სრულიად უსარგებლოა ამ შემთხვევაში. ადამიანის გონებაზე საკმაოდ ბევრი რამ ვიცი! *(ბრუნდება)* ის ამ იატაკზე იწვა უსულოდ.

ჯეიმსი: და ჩვენი გულები ამბობენ: „დამნაშავეა“.

მაიკლი: დიახ, დამნაშავე.

ჰელენი: ოღონდ მე ბრალი არაფერში მიმიძღვის.

მაიკლი: მაშინ ამ ოთახში რატომ არ იძინებთ? როგორც თქვენ ამბობთ, უცოდველი ხართ, მაშ, რისი გეშინიათ?

ჯეიმსი: ხო, მართლა, რისი გეშინია ჰელენ?

ჰელენი *(შეშინებული)* **:** ჯეიმს, მშვენივრად იცი, რომ ჩვენ შევთანხმდით..

ჯეიმსი: შევთანხმდით?

ჰელენი: ტერეზას ასე ვეღარ შევაშინებ, ისიც იცი, თავს როგორ გრძნობს. მის წინააღმდეგ ვერ ვიმოქმედებთ, ტერეზა უკვე ძალიან მოხუცდა. მე არაფრის მეშინია, მაგრამ ტერეზა...

ჯეიმსი: აჰა, ე.ი. ყველაფერი ტერეზას გამოა?

ჰელენი: რა თქმა უნდა, ამ ოთახში არავინ არ უნდა დაიძინოს.

ჯეიმსი: არც მე?

ჰელენი *(შეშინებული)* **:** უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია, ჯეიმს. ტერეზას საძინებელი, საერთო ოთახიც იქნება. მერი სწორედ ახლა ამზადებს მას. ხომ იცი, რა მშვენიერი ოთახია, დიდი სივრცით. *(სკამი ოთახიდან გააქვს და შემდეგ უკან ბრუნდება.)* აბა, დროა ესეც დავკეტოთ.

ჯეიმსი: ჰელენ, შეგიძლია დაგვტოვო და შენს საქმეს მიხედო. *(ჰელენი ორჭოფობს, თან მაიკლს თვალს არ აშორებს.)* ეს ოთახი მე და მაიკლს ცოტახნით არაფერს გვავნებს.

ჰელენი პასუხის გაცემას აპირებს, მაგრამ სანაცვლოდ მხოლოდ სკამს იღებს და გადის. პაუზა.

მაიკლი: სამი კვირის წინ , მე და როუზი ამ ოთახში ერთად შემოვედით. შეყვარებული კაცი და მისი გამოუცდელი საყვარელი. *(თითქოს თავს იცავს)* ვერც კი წარმოიდგენთ, იმ დღეს რა ბედნიერი იყო.

ჯეიმსი: როუზი ძალიან სწრაფად გაიზარდა.

მაიკლი: გასულ ღამეს მასთან ხომ არ გისაუბრიათ?

ჯეიმსი: კი.

მაიკლი: ასე რატომ მოიქცა?

ჯეიმსი: ტკივილის ეშინოდა. მისი, შენი, შენი ცოლის გულისტკენის.

მაიკლი: ახლახანს ჩემმა ცოლმა დამირეკა, ეს ამბავი როგორღაც გაუგია და საშინლად თანაგიგრძნობთ.

ჯეიმსი: რის გაკეთებას აპირებთ?

მაიკლი: მასთან ერთად ცხოვრებას გავაგრძელებ. თუ ამას ცხოვრება შეიძლება ვუწოდოთ. სასაცილოა, ფსიქოლოგი მქვია და ორი ადამიანის ფსიქიკა დავანგრიე.

ჯეიმსი: ალბათ ფსიქოლოგიამ მხოლოდ გონების შესახებ გასწავლათ რაღაცები. სიყვარული კი თქვენთვის ნამდვილად არ უსწავლებია.

მაიკლი: მე ის გულწრფელად მიყვარდა.

ჯეიმსი: ოჰ, რა თქმა უნდა, ვიცი. მეც მეგონა, რომ როუზი მიყვარდა. მაგრამ არც ერთი ჩვენგანის სიყვარული არ აღმოჩნდა საკმარისი. არც წმინდანების. მისტერ დენის, ეს ვინმეს უნდა ვუთხრა, და ვინაიდან, ადამიანების მოსმენა თქვენი პროფესიაა, ამას აუცილებლად გამიგებთ.

მაიკლი *(სიმწრით)* **:** ჩემი პროფესია..

ჯეიმსი: ოც წელზე მეტია გამოუსადეგარი მღვდელი ვარ. მღვდლობა ნამდვილად იყო ჩემი მოწოდება, ან თქვენი სიტყვებით რომ ვთქვათ- რაღაც კომპლექსი. ამას ახლა აღარავითარი მნიშვნელობა არ აქვს. არ დაგცინით, ეს ჩემთვის ნამდვილი მოწოდება, სამსახური იყო. და სხვების დახამრების სურვილმა ამ სკამში დამატყვევა. თქვენ ამას სხვანაირად აკეთებთ, კიდევაც გააკეთებთ, მხედველობა და მეტყველების უნარი რომ დაკარგოთ. გასულ ღამეს ღმერთმა მომცა შანსი გასაჭირში მყოფს დავხმარებოდი, ჩემს სკამთან მუხლებზე დაემხო და შველას, სულ მცირედ იმედს მთხოვდა. ასე მითხრა : „ ვერაფერს მეტყვი ისეთს რომ სულ მცირედი იმედი მაინც გამიჩნდეს? „ ღმერთს შევთხოვე იმწამს: „მომეცი სიტყვის თქმის უნარი“, მაგრამ მან ხომ ოცი წელი მიბოძა ამ სკამში ჯდომის და ასეთი წუთისთვის მზადების, ასე რომ, უფალი მეტად რატომ უნდა ჩარეულიყო ? რისი თქმაც შევძლი იყო მხოლოდ- „ილოცე“. ოდესმე მართლა რომ მცოდნოდა რა არის ნამდვილი ლოცვა, მას სიმშვიდის მოსაგვრელად მხოლოდ შევეხებოდი და ასე შევეცდებოდი მენუგეშებინა. „ლოცვა“- წარმოთქვა მან ზიზღით.

მაიკლი: მე ჩემი ცოლის მოსაძებნად წავედი. მის გამო ვნერვიულობდი. ახლა როგორ მოვიქცეთ? ნეტავ ოდესმე ყველაფერი ისევ ისე თუ იქნება, როგორც უწინ?

ჯეიმსი: სამმა მოხუცმა ადამიანმა მათი საერთო ოთახი დაკარგა, სულ ესაა. ფსიქოლოგი ავადმყოფი ცოლით. მისი სიკვდილი ზღვაში წვეთივითაა.

მაიკლი: და მაინც, გჯერათ ისეთი ღმერთის, რომელიც უშვებს, რომ მსგავსი რამ მოხდეს?

ჯეიმსი: კი.

მაიკლი: რა სულელური მრწამსია.

ჯეიმსი: ხო, ზოგჯერ ასე გეჩვენება.

მაიკლი: და სასტიკიც.

ჯეიმსი: ერთი რაღაც მახსოვს სემინარიიდან. თითქმის ყველაფერი დამავიწყდა ,რაც იქ მასწავლეს, ღმერთის არსებობის არგუმენტებიც კი, ლოცვების წიგნიდან. “რაც უფრო გაურკვეველი და უიმედოა ჩვენი მდგომარეობა, სარწმუნოება გვეუბნება: „ეს არის ღმერთი, ყველაფერი კარგად იქნება“.

მაიკლი: „ყველაფერი კარგად იქნება“. ამის მართლა გჯერათ?

ჯეიმსი: ჩემი გონება დაუმორჩილებლობის, გაურკვევლობისა და სასოწარკვეთის მეტს ვეღარაფერს გრძნობს. მაგრამ გულის სიღრმეში ვიცი, რომ ეს ყველაფერი ჩემი სისუსტის გამოძახილია.

მაიკლი: ისეთი ღმერთის არ მწამს, სუსტი ადამიანები რომ არ ებრალება.

ჯეიმსი *(ვედრებით)* **:** ნეტავ ასეთი ტონით ღმერთზე დღეს მაინც აღარ ისაუბრებდეთ. სიძულვილით ნუ მოიხსენიებთ მას, იმისდა მიუხედავად, გწამთ თუ არა მისი. თუ ღმერთი მართლაც არსებობს, მასაც ძალიან უყვარდა როუზი და მშვენივრად ხედავდა როგორ დალია ის სულელური აბები. მე და თქვენ ვერასდროს გავიგებთ თუ რამდენ სიყვარულსა და მოწყალებას იჩენს ახლა ის როუზის მიმართ.

მაიკლი *(მწარედ)* **:** ზედმეტად გვიან.

ჯეიმსი *(მავედრებელი ტონით)* **:** ნეტავ ხვდებოდე, რომ დღეს მხოლოდ შენი ტკივილი გალაპარაკებს. თუმცა ეს ბუნებრივია, დაე, ასე იყოს. აქვე ახლოს კაცი კიბოთი კვდება, მასაც ტკივილი ალაპარაკებს, რა თქმა უნდა, ყველანი ვიტანჯებით და ტკივილს განვიცდით. ტკივილით სავსე სამყაროში ერთადერთი გამონაკლისი გინდა იყო?

მაიკლი: და თქვენ ისეთი ღმერთისაც გწამთ, ამ ყველაფერს რომ უშვებს.

ჯეიმსი: კი. და მე იმისიც მჯერა, რომ მან თავისი წილი ტანჯვა უკვე იგემა ამ ქვეყნად. მაგრამ მან არა მხოლოდ სამყარო, არამედ მარადიულობა შექმნა. ტანჯვა ჩვენთვის დიდი პრობლემაა, მაგრამ როცა ქალი ბავშვს ბადებს ის ტკივილს არაფრად აგდებს. სიკვდილი ჩვენი შვილია, ტკივილს უნდა გავუძლოთ, რომ ჩვენს სიკვდილს მედგრად დავუხვდეთ. მეც თქვენნაირად განვიცდი. მაგრამ როუზი, ის უკვე თავისუფალია, მან თავისი პირმშო უკვე დაბადა.

მაიკლი: ისე საუბრობთ, თითქოს ის ისევ ცოცხალია. *(გაბრაზებული მიმართავს ჯეიმსს.)* ოჰ, რა თქმა უნდა, თქვენი ეკლესია ქადაგებს, რომ ის ცოცხალია. ის ამბობს, რომ როუზი წარწყმედილია ჩემი ცოლის საძილე აბებით.

ჯეიმსი: ისეთი სულელები არ ვართ, ჩვენზე როგორი წარმოდგენაც გაქვთ , მაიკლ. არავინ ვიცით, რაზე ფიქრობდა როუზი ბოლო ჟამს. სიკვდილის წინ სწორედ მხოლოდ ღმერთი იყო მასთან.

მაიკლი: თქვენ თვითონ თქვით რომ მან ზიზღით წარმოთქვა სიტყვა- „ლოცვა“.

ჯეიმსი: ეს მისი უკანასკნელი სიტყვები სულაც არ იქნებოდა და ასე კიდევაც რომ ყოფილიყო, თქვენ უნდა იცოდეთ, ზიზღი ხანდახან სიყვარულს ბადებს.

მაიკლი: ოჰ, ის ასეთი რთული გასაგებიც არ იყო. მას ნევროზულობის არაფერი ეტყობოდა, არც შუახნის კრიზისის ასაკში იყო . ის ისეთი ახალგაზრდა და ლაღი იყო. მას ისევე არ აინტერესებდა თქვენი ეკლესია, როგორც მე.

ჯეიმსი: როგორ ფიქრობთ, როუზი მაინც გეყვარებოდა ასეთი ლაღი რომ არ ყოფილიყო? ოჰ, მაგრამ თქვენც კაცი ხარ შენი მოწოდებით. მასში მისი სილაღე, ახალგაზრდობა, მღელვარება, დაძაბულობა გიყვარდათ. ასეთი სახით ნუ მიყურებთ. თქვენ იმიტომ გიყვარდათ ის რომ მას სასოწარკვეთა შეეძლო. მეც ამიტომ. ზოგიერთი ჩვენგანი ზედმეტად სუსტია იმისთვის, რომ ასეთ რთულ დროს, ტკივილს გაუძლოს და ჩვენ ის სწორედ ამის გამო გვიყვარდა.

მაიკლი *(მწარედ)* **:** ზღვაში წვეთი.

კარი იღება და ტერეზა შემოდის. მოხუც ქალს ბარბაცით მოაქვს თეთრეული, რომელსაც იქვე , დივანზე, დებს.

ჯეიმსი: ტერეზა, ეს რა არის?

ტერეზა: შეგვიძლია ჩემი ოთახი საერთო ოთახად გადავაკეთოთ. მე აქ დავიძინებ.

გარედან ჰელენის ხმა ისმის: ტერეზა, სად ხარ?

ტერეზას შემდეგ ჰელენი შემოდის ოთახში. ისეთი აღელვებულია, რომ მაიკლს ყურადღებასაც არ აქცევს.

ჰელენი: ტერეზა, ისევ ავად ხარ? აქ რას აკეთებ? ან ეს ვისი თეთრეულია? ყველაფერი ხომ უკვე მოვაგვარეთ.

ტერეზა: მე აქ დავიძინებ. *(თეთრეულის დალაგებას იწყებს.)*

ჰელენი: როგორ თუ აქ? ჯეიმს, უთხარი, რომ აქ არ შეიძლება. არც კი ესმის რას აკეთებს. აქ დაძინების უფლებას ვერ მივცემ. ყველაფერზე უკვე შევთანხმდით. ჯეიმს, უთხარი რამე.*(ტერეზა აუღელვებლად განაგრძობს თავის საქმიანობას, ჯეიმსი და მაიკლი კი ორივეს უყურებენ. ჰელენი უკვე თავზარდაცემულია.)* ტერეზა! ძვირფასო ტერეზა! შენ აქ ვერ დაიძინებ! ის აქ მოკვდა, ამ ოთახში, ტერეზა!

ჰელენი მუხლებზე ეცემა და ცდილობს თეთრეული სწრაფად შეაგროვოს.

ჯეიმსი: ჰელენ, შეჩერდი! საკმარისია უკვე ეს სისულელე. ღმერთი ქალივით არაგულმოწყალე არ არის. საკმაოდ დიდხანს გეშინოდა. სჯობს დაისვენო, ძვირფასო, სჯობს დაისვენო.

უეცრად ჰელენი საწოლზე პირქვე ემხობა და ბავშვივით ქვითინებს. ახლა ყველაფერი პირიქითაა- ტერეზა მასზე ძლიერია; მის გვერდით ზის , თმაზე ხელს უსვამს და ისე ელაპარაკება, როგორც ბავშვებს, ტირილი რომ შეწყვიტონ.

ტერეზა: ოჰ, ეს ცრემლები! მათ მხოლოდ კომბოსტოს მოსარწყავად თუ გამოიყენებს კაცი, ყველაფერი სისულელეა, ჩემო საყვარელო. და მაინც, რატომ არ უნდა დავიძინო აქ? ბავშვის ხომ არ გვეშინია. ჩემთვის სამუდამო ძილისთვის თავის მისაცემად, იმაზე უკეთესი ოთახი არსად არ არის, სადაც როუზი მოკვდა.

ტერეზა კვლავ ცდილობს ჰელენის ნუგეშისცემას და

ეშვება ფარდა